

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 31 ივლისი. 2023 წ. №89 (9621) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი




## როდის დაისჯებიან საკადრისად იმ კაცის მკვლელობისთვის, რომელიც საქართველოსთვის ცოცხლობდა და მოღალატის სახელით 28 ტყვიით დაცხრილეს?

იხ. 6 გვ.




## დაუნდობელი არამზადები

საქართველო მარტოა, სრულიად მარტო... ჩვენ ყველა განსაცდელს გავუძლებთ და ვიქნებით ძალიან ძლიერნი, მაშინაც, როცა არავინ იქნება.

**რობერტ სტურუა**





რევაზ გოგოხია:

## საქართველოს უფრო სჭირდება ევროკავშირის წევრობა, თუ ევროპასა და სრულიად მსოფლიოს?!

იხ. 4 გვ.




## მეგობრობა გზად და ხიდად!

## შოთა რუსთაველი პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში

**„კიდევ ერთხელ ვუხდი გულწრფელ მადლობას პრეზიდენტ სი ძინპინსა და მის მთავრობას, პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მსოფლიო ლიტერატურაში შოთა რუსთაველის ღვაწლის აღიარებისთვის და ამ შესანიშნავი შესაძლებლობისთვის, რათა ხაზი გაესვას ჩვენს მემკვიდრეობას,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოსა და ჩინეთს შორის კულტურული გაცვლის, ცოდნის გაზიარებისა და მეგობრობის ხელშეწყობის იდეის ერთგულება.

**„დაე, ეს ქანდაკება იდგეს მყარად როგორც მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის სიმბოლო, და იყოს მოტივაცია, რომელიც მიგვიყვანს უფრო ნათელი და ურთიერთდაკავშირებული მომავლისკენ. დიდი მადლობა“,** – განაცხადა პრემიერმა.

ღონისძიების სტუმრებს სიტყვით მიმართეს პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ტუან ფენგიმ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ უ იენმა. პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის ღონისძიებას საქართველოს დელეგაციის წევრები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე სტუდენტებმა კულტურული პერფორმანსები წარადგინეს.

**საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობისა და პრემიერის ჩინეთში ვიზიტის შესახებ ინფორმაციები იხილეთ მეორე-მესამე გვერდზე.**

26-საუკუნოვანი „გულთა კავშირი“

## სანამდე ცოცხალი ვიქნები, საქართველოს სიყვარული ჩემს გულში იქნება



იხ. 9 გვ.



**ხელისუფლება სამართლიანად ეძებს უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს ჩინეთში!**

# გეოსტრატეგია: ჩინეთი – საქართველო!

**საქართველო-ჩინეთს შორის ახალი ეპოქა იწყება. ორი ქვეყნის ლიდერების გადაწყვეტილებით, საქართველო და ჩინეთი ამყარებენ სტრატეგიულ პარტნიორობას, ამით კი, ორმხრივი ურთიერთობები ახალ დონეზე გადაინაცვლებს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთმა ღიად განაცხადა, დაეხმარებოდა საქართველოს დროებით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაში, რაც ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემაა.**

ჩინეთში **ირაკლი ღარიბაშვილის** ისტორიული ვიზიტიდან გამოიკვეთა, რომ მსოფლიოს ახალი გიგანტი სახელმწიფო – ჩინეთი საქართველოსთან პარტნიორობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები ჯანსაღად და სტაბილურად ვითარდება. ორი ქვეყნის პოლიტიკური ნდობა მყარია, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შედეგები კი – შესამჩნევი.

როგორც ჩინეთის პრეზიდენტმა **სი ძინპინმა** აღნიშნა, გამოცხადდება, რომ საქართველო და ჩინეთი ამყარებენ სტრატეგიულ პარტნიორობას. მისი თქმით, არა აქვს მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე როგორ განვითარდება მოვლენები, ჩინეთის დამოკიდებულება საქართველოსთან ურთიერთობების განვითარების შესახებ არ შეიცვლება.

**„საქართველო ჩინეთის მეგობარი და კარგი პარტნიორია. არა აქვს მნიშვნელობა, საერთაშორისო ასპარეზზე როგორ განვითარდება მოვლენები, ჩინეთის დამოკიდებულება საქართველოსთან ურთიერთობების განვითარების შესახებ არ შეიცვლება. ჩინეთმა და საქართველომ ერთად უნდა იმუშაონ, რათა ამ ახალი დასაწყისიდან ბიძგი მივცეთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის უკეთეს განვითარებას, ხელი შევუწყოთ ორი ქვეყნის სხვადასხვა სფეროს განვითარებას და წვლილი შევიტანოთ კაცობრიობის კეთილდღეობაში“,** – განაცხადა ჩინეთის პრეზიდენტმა.

თავის მხრივ საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ჩინეთის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის სტრატეგიულ პარტნიორობამდე ამაღლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისთვის და აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ორი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შედეგებისა და სიკეთეების მომტანი იქნება.

**„ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ საქართველოც მტკიცედ უჭერს მხარს „ერთი ჩინეთის„ პრინციპს. მრავალჯერ გვაქვს ხაზგასმით დაფიქსირებული ეს პოზიცია და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. საქართველო დიდად აფასებს ჩინეთთან მეგობრობას და პარტნიორობას, და მადლობელი ვარ ჩვენი ურთიერთობის სტრატეგიულ პარტნიორობამდე ამაღლების შესახებ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებისთვის, რაც, მიმაჩნია, კონკრეტული შედეგებისა და სარგებლის მომტანი იქნება ორივე მხარისთვის. საქართველო ერთგულია ჩინეთთან სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაღრმავების იდეისადმი მრავალი მიმართულებით და გვახარებს, რომ მნიშვნელოვან დოკუმენტებს მოეწერება ხელი ამ ვიზიტის ფარგლებში“,** – აღნიშნა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

უკვე დაანონსდა, რომ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების პროცესი უფრო დინამიკური იქნება – ასევე გაძლიერდება საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, ხალხთა შორის ურთიერთობები. მეტიც, საქართველო და ჩინეთი ხდებიან სტრატეგიული პარტნიორები, რომელსაც ექნება ახალი მნიშვნელოვანი იმპულსი ორმხრივ ურთიერთობებში. პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების პროცესი უფრო დინამიკური იქნება.

* * *

**ანალიტიკოსების შეფასებით, საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა არის ქართული დიპლომატიის გამარჯვება და ეს დიდ შესაძლებლობებს უხსნის საქართველოს, მაგრამ თვლიან, რომ ჩინეთი არ უნდა გახდეს ევროკავშირთან ურთიერთობის საპირწონე, საქართველოს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანება და ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ამ უმთავრესი მიზნის ხარჯზე.**

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პოლიტოლოგი **ირაკლი გოგავა** აცხადებს, რომ ჩინეთი მსოფლიოს ნომერ პირველი ეკონომიკაა, რომელმაც უკვე მთლიანი შიდა პროდუქტით პარიტეტული მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით გადაასწრო აშშ-ს შარშან, ამიტომ ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა მსოფლიო პოლიტიკაში. მისი თქმით, ჩინეთი არის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი და შედის იმ სამ სახელმწიფოში, რომელსაც გააჩნია ბირთვული ტრიადა, ანუ ბირთვული იარაღი ხმელეთზე, ზღვაზე და კოსმოსში.

**„შესაბამისად, ჩინეთთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან საინტერესოა და განსაკუთრებით – ორი მიმართულებით. პირველი, ეს არის აბრეშუმის გზა. ანუ, ჩინური ინიციატივა, ერთი გზა, ერთი სარტყელი, რაც გულისხმობს ჩინური ტვირთების ევროპისკენ ტრასპორტირებას. ჩვენ ვიცით, რომ სანქციების გამო, ჩინური კომპანიები უკვე ერიდებიან რუსეთზე ტვირთების გაგზავნას. ხოლო, საზღვაო სავაჭრო მარშრუტს აკონტროლებს აშშ-ის სამხედრო ფლოტი, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია გადაკეტოს ჩინეთის ეს სავაჭრო არტერია. ამიტომ, ჩინეთი ალტერნატიულ სავაჭრო მარშრუტებს აწყობს ინფრასტრუქტურულად. მილიარდობით დოლარს დებს ამაში და მათ შორის ერთ-ერთი არის ე.წ. შუა დერეფანი, რომელიც გადის შუა და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე; შემდეგ – კასპიის ზღვა – აზერბაიჯანი და საქართველო და უკვე, საქართველოდან სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება ტვირთის გაგზავნა და განსაკუთრებით ევროპის მიმართულებით“,** – აცხადებს **ირაკლი გოგავა.**

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, ევროპა ყოველწლიურად 500 მილიარდ დოლარზე მეტ ჩინურ საქონელს ყიდულობს და ამიტომ, ტვირთბრუნვა არის უზარმაზარი. 2/3 ხორციელდება საზღვაო მარშრუტებით, 1/3 სახმელეთო მარშრუტებით. ამიტომ ეს აზერბაიჯანისთვის და საქართველოსთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა.

**„მეორე – ჩინეთი არის წინააღმდეგი დასავლეთის მიერ ე.წ. ფერადი რევოლუციების, ანუ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობისა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოც იყო ამის მსხვერპლი 2003 წელს, სერბეთი, უკრაინა და სხვა ქვეყნები... ჩინეთი პირდაპირ მოუწოდებს დასავლეთს, რომ შეწყვიტოს ქვეყნებში პოლიტიკური სისტემების მიტაცება. ეს ჩვენთვისაც არის მისაღები, ვინაიდან ხელისუფლება ქვეყანაში უნდა იცვლებოდეს მხოლო და მხოლოდ სამართლიანი და ობიექტური არჩევნების გზით.**

**უსაფრთხოების გარანტიები, რომელიც, პრინციპში, ჩინეთს შეუძლია საქართველოს მისცეს, სანაცვალოდ იმისა, რომ ჩინური ლოჯისტიკა, ანუ ტვირთების გადაზიდვა იქნება საქართველოს გავლით დალაგებული. ეს არის ჩვენთვის მისაღები ფორმა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც აშკარად კონფლიქტია დასავლეთის მმართველ წრეებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის იმის გამო, რომ ჩვენ არ დავთმეთ სასამართლო სისტემა და გარე მართვაზე არ გადავიყვანეთ. ასევე, დასავლეთის გარკვეული წრეების მოთხოვნაზე, რომ გაგვეხსნა მეორე ფრონტი, უარი ითქვა“,** – ამბობს გოგავა.

ამიტომ, ეს ხელისუფლება ეძებს უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებსაც, რაც, მაგალითად, მიიღო ბელარუსმა ჩინეთიდან და, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობაში.

**„რუსეთშიც სერიოზული მცდელობა იყო ლუკაშენკოს ჩამოგდების და განსაკუთრებით „გაზპრომთან“ დაკავშირებული ლიბერალური სტრუქტურებისგან – გვახსოვს ბაბარიკო პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. ამიტომ, ჩინეთთან ურთიერთობა ჩვენთვის სტრატეგიულია და ჩინეთის პრეზიდენტის განცხადება, რომ საქართველო და ჩინეთი იწყებენ სტრატეგიულ ურთიერთობებს, ეს ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია.**

**პატარა ქვეყნის გადარჩენის გზა ყოველთვის არის ძალთა ბალანსი და წონასწორობით თამაში ისე, რომ საქართველოს ტერიტორია არავის წინააღმდეგ არ უნდა იყოს გამოყენებული და ყველა ვექტორით და მიმართულებით ჩვენ გვქონდეს ნორმალური ურთიერთობები, პირველ რიგში, სავაჭრო და შემდეგ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური“** – აღნიშნა **ირაკლი გოგავამ.**

ჩაიწერა
**თამთა ქარჩავამ**

# ერთადერთი, რაც ახლა ჩინეთს საქართველოში

**...ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ საქართველოს პრემიერის და ჩინეთის პრეზიდენტის შეხვედრა მართლაც მნიშვნელოვანია, რადგან ჩინეთის დონის ქვეყნის ასეთი დამოკიდებულება პატარა ქვეყნის მიმართ ბევრ რამეზე მეტყველებს. ისინი ვარაუდობენ, რომ ჩინეთს, საქართველო, როგორც ეკონომიკური დერეფანი, ისე აინტერესებს და სურვილი აქვს, რომ რუსეთის რკინიგზის დასანქცირების შემდეგ, საქართველოზე დასავლეთთან სავაჭროდ ახალი გზა გაჭრას. თუმცა, აქვე დასძენენ, რომ ამან შესაძლოა, ამერიკის და რუსეთის უკმაყოფილება გამოიწვიოს.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველო-ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ახალი ფაზაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც პოლიტიკური თანამშრომლობის დინამიურ განვითარებასთან ერთად, ქვეყნებს სარგებელს სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებითაც მოუტანს.**

კონფლიქტოლოგი **მამუკა არეშიძე** მიიჩნევს, რომ ჩინეთისთვის საქართველო დასავლეთთან ერთგვარ კარიბჭედ აღიქმება. მისი თქმით, ჩინეთს უკრაინის ომის შემდეგ, რუსეთის რკინიგზის დაკარგვის შემდეგ, ტვირთების გადატანის განსაკუთრებული პრობლემები შეექმნა. ამიტომ მისთვის ახლა საქართველოსთან და აზერბაიჯანთან თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

**„ჩინეთის პოლიტიკა გეოპოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. ჩინეთი არის ქვეყანა, რომელიც ეკონომიკის მეშვეობით მსოფლიოს ექსპანსიას ახდენს. გარკვეულად იგივე ხერხით მუშაობს, როგორც ამერიკა. ჩინეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საელჩოები აქვს. თუ დასავლეთი ეკონომიკის და იდეოლოგიის მეშვეობით მუშაობს, ჩინეთი მხოლოდ ეკონომიკაზეა ორიენტირებული. პრაქტიკულად, პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა სახელმწიფოს ჩინეთის ვალი აქვს. ჩინეთმა წლების განმავლობაში ისეთი პოლიტიკა წარმართა, რომ ყველა სახელმწიფო ასეთ მდგომარეობაში ჰყავს ჩაგდებული.**

**ცენტრალური აზიის ქვეყნებს აქვთ ასევე ჩინეთის უზარმაზარი ვალი. რაც შეეხება საქართველოს და სამხრეთ კავკასიას, მას შემდეგ, რაც რუსეთის რკინიგზა დასანქცირდა, ჩინეთს ტვირთების გადაზიდვა დასავლეთისკენ ერთიორად გაუძვირდა. ჩინეთი იძულებულია, რომ სხვა ალტერნატიული გზები ეძებოს. შარშან 240 მილიონი ტვირთბრუნვა დაუგროვდა. საგზაო ტრასებით ამ ტვირთის ნაწილის გადატანა ძლივს შეძლო. ამიტომ ჩინეთი ცდილობს ყირგიზეთსა და უზბეკეთს შორის ახალი რკინიგზა ააშენოს. ეს არ არის ისეთი სრულყოფილი, როგორიც რუსეთის რკინიგზაა. ამიტომ ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ თავისი წარმოება რეგიონში გადმოიტანოს, მათ შორის სამხრეთ კავკა-**



# საქართველოს დაწყებით და საშუალო სკოლებში ერთობლივი ჩინური ენის განათლება დამკვიდრდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ჩინეთში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა განათლების სფეროში მნიშვნელოვან დოკუმენტს.**

როგორც ღარიბაშვილმა პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ჩინეთსა და საქართველოს შორის გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს დაწყებით და საშუალო სკოლებში ერთობლივი ჩინური ენის განათლების შესახებ.

**„ჩვენი ვიზიტის დროს, მოხარული ვართ ხელი მოვაწეროთ განათლების სფეროში მნიშვნელოვან დოკუმენტს – ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს დაწყებით და საშუალო სკოლებში ერთობლივი ჩინური ენის განათლების შესახებ. მჯერა, რომ ეს დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს მიზანს, გაღრმავდეს ურთიერთგაგება ჩვენს ერებს შორის. კიდევ ერთხელ ვუხდი გულწრფელ მადლობას პრეზიდენტ სი ძინპინსა და მის მთავრობას, პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მსოფლიო ლიტერატურაში შოთა რუსთაველის ღვაწლის აღიარებისთვის და ამ შესანიშნავი შესაძლებლობისთვის, რათა ხაზი გაესვას ჩვენს მემკვიდრეობას. იმედი მაქვს, რომ ეს ქანდაკება იქნება შთაგონება ამ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის და წაახალისებს ქართული ლიტერატურის, პოეზიისა და ჩვენი უნიკალური ენის უზარმაზარი სამყაროს შესწავლას. დაე, ეს ქანდაკება იდგეს მყარად როგორც მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის სიმბოლო, და იყოს მოტივაცია, რომელიც მიგვიყვანს უფრო ნათელი და ურთიერთდაკავშირებული მომავლისკენ. დიდი მადლობა“,** – განაცხადა პრემიერმა.

# სიჩუანის პროვინციასა და აჭარას შორის მემორანდუმი გაფორმდა

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის ფარგლებში საქართველოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიჩუანის პროვინციას შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესახებ შეთანხმება გაფორმდა.**

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, დოკუმენტს ხელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ილია დარჩიაშვილმა და სიჩუანის გუბერნატორმა, ჰუან ციანმა მოაწერეს. ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გაიმართა მხარეებს შორის შეხვედრა, სადაც მათ ისაუბრეს საქართველოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სიჩუანის რეგიონს შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებზე.




# გაქართულებული ლევილი ბევრ ქართველ ემიგრანტს სამშობლოში დაბრუნებაზე დააფიქრებს!




**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, 29 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით, ყოველ შაბათ-კვირას, ლევილის ისტორიულ მამულში იმართება ქართული ხელოვნებისა და კულტურისადმი მიძღვნილი ფესტივალი, რომელსაც ყველა მსურველი უფასოდ დაესწრება.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ლევილის მამული პირველად უმასპინძლებს ამ მასშტაბის კულტურულ ღონისძიებათა ციკლს.

ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანია და მოიცავს ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ნომრებს; გაიმართება სპექტაკლებიც. კულტურის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით, ფესტივალში მონაწილეობენ მუნიციპალური სახელმწიფო თეატრები, ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები სხვადასხვა რეგიონიდან.

**საფესტივალო პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ: ანსამბლი „მარგალიტი“, საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტი; თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი, რომელიც წარმოადგენს რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილის სპექტაკლებს – „იავნანამ რა ჰქმნა?!“ და „საქართველო“; ქუთაისის კამერული გუნდი; ანსამბლი „ბასიანი“; ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის სახელმწიფო თეატრი (წარმოადგენს ორ სპექტაკლს – „ხალდე“ და „ჩემო კალამო“! რეჟისორი გიორგი სიხარულიძე); ამბროლაურის ანსამბლი „საგალობელი“; ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი („მატარებელი“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე); ქუთაისის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი; ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი („ფიროსმანი“, რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი); ნეკა სებისკვერაძე და „თეატრალური კვარტეტი“; თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი („ყველაფერი ნამდვილი იყო“, რეჟისორი ივანე ხუციშვილი); ეთნოჯაზჯგუფი „ირიაო“; ფოლკლორული ანსამბლი „იალონი“.**

ფესტივალი 20 აგვისტოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტით დაიხურება.

სამინისტროს განცხადებით, ღონისძიება, უპირველეს ყოვლისა, ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის არის განკუთვნილი. ფესტივალი ნათელი მაგალითია იმისა, რომ კულტურის სამინისტრო წარმატებით ახორციელებს გეგმას, რომლის მიხედვით ჩვენს ქვეყანას ლევილის სახით ევროპაში ექნება მრავალპროფილური კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი და გაგრძელდება ტრადიცია, რომელსაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურებმა ჩაუყარეს საფუძველი.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამული 2016 წელს, 25-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გელა დუმბაძისა და იუსტიციის მაშინდელი მინისტრის თეა წულუკიანის ძალისხმევის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა.

**2021 წლის ზაფხულში პროექტი, სახელწოდებით „პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრის, ლევილის ქართული აკადემიის შექმნა“, გადაეცა ახალშექმნილ უწყებას – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.**

# აინტერესებს, ეს ანაკლიის პორტია!

**სიაში, რათა ევროკავშირთან უფრო ახლოს იყოს. ამიტომ მისთვის აზერბაიჯანი და საქართველო მნიშვნელოვანია. ჩინეთი საქართველოსთან სტრატეგიულ თანამშრომლობაში დასავლეთთან ვაჭრობის გააქტიურებას გულისხმობს“,** – ამბობს არეშიძე.

როგორი იქნება ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს და ჩინეთის ამ ახალ სტრატეგიულ პარტნიორობაზე, არეშიძე ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, ეს დადებითი გამოხმაურება არ იქნება. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავად ამერიკას ჩინეთთან 700-მილიარდიანი ტვირთბრუნვა აქვს. ევროკავშირს კი – 500-მილიარდიანი. ამერიკას კი ჩინეთის 2 ტრილიონამდე ვალი აქვს.

**„თავად ამას აკეთებენ და სხვა რომ ჩინეთთან ურთიერთობს, ის არ მოსწონთ. ასეთი თვისება აქვთ დიდ ქვეყნებს. ასევე არ მოსწონს რუსეთსაც ჩინეთის მხრიდან ურთიერთობის ახალი სისტემების ჩამოყალიბება თავის საზღვრებთან. ანაკლიის პორტი სწორედ ამ დაპირისპირებას შეეწირა. ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ ეს იყო. უცბად, ანაკლიის პორტთან დაკავშრებით სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების დაჯახება მოხდა. ასე რომ, დღესაც, ამერიკა, რასაკვირველია, საქართველოს და ჩინეთის თანამშრომლობის წინააღმდეგი იქნება.**

**თუმცა, მინდა ერთ გარემოებას ხაზი გავუსვა, ეს არ უნდა მოხდეს ისე, როგორც ქართველებს გვჩვევია. თუ რაღაცა მოვლენა ჩვენს სასარგებლოდ ვითარდება, სიფრთხილეს ვკარგავთ ხოლმე. ნაბიჯ-ნაბიჯ კი არ ვცდილობთ, რომ ეს მოვლენა ავითვისოთ, არა, ყველაფერი უცბად გვინდა. ჩინეთისთვის პატარა საქართველოს ჩაყლაპვა პრობლემა არ არის. ამიტომ ყველაფერზე თანხმობის მიცემა საჭირო არ არის. რაც შეეხება რუსეთს, ვფიქრობ, მათ ახლა რაიმე მწვავე რეაქციის თავი არა აქვთ, მით უმეტეს ჩინეთთან მიმართებაში. რუსეთი ახლა ჩინეთზეა დამოკიდებული. ამიტომ რუსეთის რეაქცია დიდად არ არის მნიშვნელოვანი. მას იმაზე არა აქვს რეაქცია, რაც მართლა პრობლემას უქმნის, ენერგეტიკულ პროგრამებს ვგულისხმობ, რასაც საქართველო შავ ზღვაში აპირებს“,** – ამბობს არეშიძე.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ამბობს, რომ ჩინეთს საქართველოსთან დაკავშირებით კონკრეტული გეგმები ამოძრავებს და ის არ გამორიცხავს, რომ ეს ანაკლიის პორტის მშენებლობა იყოს.

**„საქართველოს და ჩიენთის პრეზიდენტის შეხვედრა, უფრო მეტად დადებითია, ვიდრე უარყოფითი. თუმცა, რა იქნება ამის ფასი, საინტერესო ეს არის. აქ ორი დეტალია, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. ერთი დეტალია, რომ სი ძინპინი საქართველოს პრემიერს შეხვდებოდა თუ არა, ბოლომდე გადაწყვეტილი არ იყო. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ეს დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და არ მოხდა ამის დაანონსება, რადგან შემდეგ ადგილი გაწბილებას არ ჰქონოდა. რადგან შეხვდნენ, მე ვვარაუდობ, რომ რაღაცაზე გარიგება მოხდა. ხელმოწერა თუ არა, სიტყვიერი შეთანხმება რაღაცაზე იყო. ერთადერთი, რაც ახლა ჩინეთს საქართველოში აინტერესებს, ეს ანაკლიის პორტია. სხვა ისეთი საქართველოში სერიზული ინფრასტრუქტურული პროექტი არაფერია. რაღაც უფრო მეტზეა საუბარი, ვიდრე ეს ხმამაღლა ითქვა.**

**ჩინეთს ძალიან ლოგიკური და მოქნილი აღმოსავლური პოლიტიკა აქვს. მათ არ დაუყენებიათ არასდროს ჩვენთვის პირობა, რომ თუ თქვენ ამერიკასთან ან ევროკავშირთან იმეგობრებთ, ჩვენ მაშინ შენთან არ ვიმეგობრებთ. გვეუბნება, რომ მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური კონტექსტისა, სადაც ჩვენი ორიენტირი ევროკავშირი და ევროატლანტიკური არჩევანია, ჩინეთის და საქართველოს მეგობრობას წინ მაინც არაფერი დაუდგება. ამ ფონზე, როცა ამერიკას არაერთხელ უთქვამს, რომ ამერიკისთვის მიუღებელია მის ძირითად მეტოქესთან, ჩინეთთან მეგობრობა. მისთვის მთავარი მტერი არა რუსეთი და ირანია, არამედ ჩინეთი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ამერიკის რეაქცია. ამ ბოლო დროს კი, საქართველოსა და ამერიკას შორის ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა“,** – ამბობს ზაქარეიშვილი.

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა**



**მსოფლიო გლობალისტების უმეტესობა კაცობრიობის სულიერ-მორალური დეგრადაციითაა დაინტერესებული, რადგან ასეთი მასების მართვა „მსოფლიო მთავრობისათვის“ (რომლის შექმნა მათი ოცნებაა) გაცილებით მარტივი იქნება. როგორც ჩანს, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნისთვის, ალბათ, სულ მალე ზნეობა და სამართლიანობა წარსულის გადმონაშთად გამოცხადდება.**

# საქართველოს უფრო წევრობა, თუ ევროპასა

**დღეს, მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე საყოველთაო გლობალიზაციის პროცესი, უაღრესად წინააღმდეგობრივია თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით. ამასთან, კორონავირუსულმა პანდემიამ ბოლომდის გააშიშვლა გლვარგადასული გლობალიზაციის სიმახინჯეები, რაც დაძლეულ უნდა იქნეს მთელი მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევით, რათა კაცობრიობის ცხოვრება და შემოქმედება კვლავაც ცივილიზებულად წარიმართოს.**

**ამისათვის აუცილებელია ულტრალიბერალისტური გლობალური თეორიების აქტიური და საყოველთაო კრიტიკა და მხილება კონსერვატორების, ტრადიციონალისტებისა და სხვა მსგავსი თეორეტიკოსების მიერ. მოკლედ რომ ვთქვათ, დღის წესრიგში მწვავედ დგას მსოფლიოს ცივილიზებული განვითარების არსებითი მახასიათებლების გლვარგადასული გლობალიზაციის დეგლობალიზაციის პრობლემა.**

**მათ შორისაა ყოველგვარი ეროვნული ტრადიციების ნიველირების, უმშობლო ბავშვების, უეროვნებო და უსამშობლო, ანუ მომთაბარე მსოფლიო კაცობრიობის, უფლისაგან ადამიანთა მასობრივი განდგომის და ხელოვნური ადამიანის შექმნის, თავისუფლების არსის ძირეულად გაყალბებისა და გაბიაბრუების, ერთიანი მსოფლიო მმართველობის (მთავრობის) ჩამოყალიბებისა და ა.შ. ყბადაღებული ანტიადამიანური თეორიების განხორციელების მცდელობები. მოკლედ რომ ვთქვათ, ულტრალიბერასტების ყბადაღებული თეორიის მიხედვით, – სახელმწიფო, სამშობლო, პატრიოტიზმი, რელიგია, ტრადიციები და სხვა ეროვნული ფასეულობები თანდათან ტოვებენ ისტორიულ ასპარეზს, ან უკანა პლანზე დგებიან.**

აქედან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს, რომ საქართველოსთვის უცხო და უნიადაგო, გლობალიზაციის ბურუსში გახვეული კოსმოპოლიტიკური თეორიები, უცხოურ უნიადაგო თეორიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა, გარკვეულწილად იმ „დიდი პოლიტიკის“ შემადგენელი ნაწილია, რაც სამამულო ინდუსტრიის – არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს (უკეთეს შემთხვევაში) ნავთობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნისა და სამომავლოდ – ტურისტთა საჯირითო ტერიტორიის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს. ამისგან განსხვავებით, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავითავისოთ, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური და, საერთოდ, ღვთიევკურთხეული ეროვნული იდეოლოგიის სამოსელს. თუმცა, აღნიშნული პრობლემების საკაცობრიო ცივილიზაციის სასარგებლოდ გადაწყვეტას უაღრესად ართულებს ის გარემოება, რომ მსოფლიო გლობალისტების უმეტესობა კაცობრიობის სულიერ-მორალური დეგრადაციითაა დაინტერესებული, რადგან ასეთი მასების მართვა „მსოფლიო მთავრობისათვის“ (რომლის შექმნა მათი ოცნებაა), გაცილებით მარტივი იქნება. როგორც ჩანს, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნისათვის, ალბათ, სულ მალე ზნეობა და სამართლიანობა წარსულის გადმონაშთად გამოცხადდება. ამასთან დაკავშირებით საგანგაშოა დიდი ბრიტანეთის 74-ე პრემიერ-მინისტრის გორდონ ბრაუნის (და არამხოლოდ მისი) იდეა – კორონავირუსის დაძლევის შემდეგ მსოფლიოს დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დედამიწაზე საყოველთაო წესრიგს... ამით, როგორც იტყვიან, ყველაფერი ანტისაკაცობრიო – „ლაკონიურადაა“ ჩამოყალიბებული.

დიდად სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ფართო გაქანებას პოულობს აგრესიული ლიბერალური დემოკრატია, ანუ ლიბერტარიანიზმი, რომელიც გულმოდგინედ იცავს ყოველგვარი სახეობის ლგბტელთა, სექტანტთა და სხვა ჯურის ანტიადამიანურ ქმედებებსა თუ სურვილებს დიადი ტერმინის – „თავისუფლების“ არსის სრული გაყალბებისა და ფეხქვეშ გათელვის გზით. მათ ზურგს უმაგრებს ევროპელი (და არამხოლოდ) პედერასტ-ლესბიანკები და მათი „მსხვილფეხა“ აპოლოგეტები, რომელთა შორის „გამოირჩევა“ აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, რომლის შეურაცხმყოფელ ფანტაზიას ზღვარი არა აქვს.

**„მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა! სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა ცივილიზებული ქვეყნების მახასიათებელი მიზანია და ის ეროვნულ კულტურასა და სოციალურ ტრადიციებზე მაღლა უნდა იდგეს. გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ნაკადს. მათი მოწინააღმდეგეები კი ველურები არიან. ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ აღიარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის გამო“...**

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარიც კი ზედმეტია, მაგრამ ფრიად საკვირველია, როგორ აირჩია პრეზიდენტად დიდმა ამერიკელმა ხალხმა ასეთი აშკარა „ლგბტელი“ პიროვნება. ვაი, რომ სავსებით გამართლდა აშშ-ის გენიალური პრეზიდენტის **რონალდ რეიგანის** წინასწარმეტყველება: **„თუ ფაშიზმი ოდესმე მოვა ამერიკაში, ის მოვა ლიბერალიზმის სახელით“.**



**დასავლეთმა უკვე ოფიციალურად დააყენა საზოგადოება არჩევანის წინაშე – „ქრისტიანობა ან ლგბტ! ანუ გააფთრებული ბრძოლა სინდისსა და უსინდისობას შორის.**

**ბერდიაკონი**
**გიორგი (რუხაძე)**

ამის კიდევ ერთი სამარცხვინო დასტურია ისიც, რაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 11 მაისის ნომერში წარმოჩინდა (ექსპონატი ევროპარლამენტში გამართული გამოფენიდან): „ევროპა და ამერიკა სულიერი წარღვნის პირისპირ!“ „ლიბერალური იდეოლოგია და სექსუალური გეი იესო“ (ეს სრულიად მსოფლიოს საქრისტიანოს თავმოჭრის უპრეცენდენტო ქმედებაა, რაც გაასკაცებულ უკურეაქციას იწვევს.

აღნიშნულ პროცესს ზედმიწევნით მიესადაგება ფილოსოფიის დოქტორ ბერდიაკონ **გიორგის** (რუხაძე) შემდეგი განცხადება: **„დასავლეთმა უკვე ოფიციალურად დააყენა საზოგადოება არჩევანის წინაშე – „ქრისტიანობა ან ლგბტ! ანუ გააფთრებული ბრძოლა სინდისსა და უსინდისობას შორის“**, ცნობილი მხატვრის **რ. ადამიას** თქმით კი **„ბოროტებამ გაანადგურა სიცოცხლე და მშვენიერება. ღმერთის მკვლელები კაცობრიობის მკვლელ საწყისებს წარმოადგენენ... რუსეთმა ღმერთი მოკლა“**... ჩვენ კი დავძენთ, რომ ყველასთვის გასაგებია –

## გააფთრებული ბრძოლა სინდისსა და უსინდისობას შორის...

„ღმერთის მოკვლის“ იდიომური არსი ღმერთის უარყოფაა, რაც რუსეთთან ერთად ჩაიდინეს აშშ-მა და უკრაინამ სამივე ქვეყნის პრეზიდენტის მიერ სატანური ომის წამოწყებით, რის გამოც ღმერთი დასჯის სამივე პრეზიდენტს, ხოლო ხალხებს მშვიდობას მოუტანს. ამის საწყისი კი მომავალი წელი იქნება, როცა აშშ-ის ხალხი ახალ ღირსეულ პრეზიდენტს აირჩევს.

დიახ, ფაშიზმი დღეს არამხოლოდ აშშ-შია, არამედ ევროპის და, თუ გნებავთ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია მოსული და აშკარად „კეკლუცობს“ ლგბტსა და სხვა მსგავსი უხამსი გამოვლინებების გარშემო თუ სასარგებლოდ. ამ მხრივ გამონაკლისი არც ღვთიური საქართველოა, სადაც ისინი ე.წ. ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობასაც არცთუ მალულად ეწევიან. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში მმართველ პარტიას ჯანსაღი ოპოზიცია უნდა ჰყავდეს, რათა მათ ერთობლივად იზრუნონ ხალხის მომავალზე.

**სამწუხაროდ და სავალალოდ, დღეს კაცობრიობის დიდი ნაწილი ღვთის ნებას არ მისდევს, არამედ იმას, რაც მას უნდა. მას ღვთის ნება „მე მინდაში ეშლება“, რითიც უფალს ეწინააღმდეგება და ცხოველს ემსგავსება. დიახ, დღეს კაცობრიობის დიდი ნაწილი სიბილწის მორევშია ჩაფლული და თუ ის ცოდვებს არ მოინანიებს, კორონაპანდემიაზე უარესიც შეიძლება მოხდეს. თუმცა, ეს უარესი – დღეისთვის სახეზეა უკრაინა-**

# რწმენა სუპერძალაა!

**ჩვენ ვფლობთ სუპერძალას, ეს არის რწმენა, ჩვენი ტრადიციები, ფასეულობები. ამ ძალთა გაერთიანებით შევძლებთ დავუპირისპირდეთ ყალბი თავისუფლების და სიმართლის სახელით მოსულ ბოროტებას, შევინარჩუნოთ სამყარო ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობებისათვის“.**



**ირაკლი ღარიბაშვილი**

# სჭირდება ევროკავშირის და სრულიად მსოფლიოს?!

**რუსეთის სამარცხვინო ომის, მსოფლიოში ადამიანებით (განსაკუთრებით – სპორტსმენებით) ვაჭრობა-სპეკულაციისა და სხვათა სახით, რომელთაც არ ჩამოვთვლი.**

უკრაინა-რუსეთის ომში ათასობით ადამიანი იღუპება, ნადგურდება დიდი მატერიალური სიმდიდრე, ხოლო ადამიანთა ბედი სატანების ხელშია. ომი, როგორც ჩანს აშშ-ისა და უკრაინის ერთობლივ შეთანხმებას ჰგავს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. თანაც, როგორც რობერტ კენედი (უმცროსი) აღნიშნავს, „ამერიკამ უკრაინა რუსეთის დასასუსტებლად გაწირა, ხოლო დასავლეთი ყოველნაირად ცდილობს, ომი არ დასრულდეს“. უკრაინელი ხალხის ერთ დროს საყვარელი მსახიობი ზელენსკი კი, დღეს ერთ-ერთი უსუსტესი პრეზიდენტია, რომელიც აშშ-ის ხელისუფლების დაკრულზე „ცეკვავს“. რაც შეეხება გაეროს, გენერალური მდივნის გუტიერეშის განცხადებით, მან დაკარგა თავისი აზრი და ძირითადი ფუნქცია. ეს, მართლაც ასეა – უშიშროების საბჭოში რუსეთი კვლავაც მუდმივ წევრად ჰყავთ თავისი ვეტოს უფლებით (პ. მამრაძე).

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, კაცობრიობის პროგრესული განვითარებისათვის სახიფათო მოვლენებს შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს მიმდინარე საუკუნისათვის აშკარად დამახასიათებელი ბოროტება – ადამიანებით ვაჭრობა, რაშიც უწინარესად ვგულისხმობთ ფეხბურთელთა შავ ბაზარს, რომელშიც მილიონობით ( და მილიარდობითაც) ევრო თუ დოლარი ტრიალებს. ამის უამრავი ფაქტიდან, მხოლოდ ერთს – სრულიად ახალ ფაქტს მოვიყვან: საქმე ეხება საუდის არაბეთის ფეხბურთელთა გუნდში – „ჰალი ჰილალში“ ფეხბურთელ ვილიამ მბაპეს შესაძლო გადასვლას, რაშიც მბაპეს ნაცვლად 300 მლნ ევროს, ხოლო თვით ფეხბურთელს ერთ (1) წელიწადში 700 მლნ (!) ევროს სთავაზობენ. ფეხბურთის ჩემი სიყვარულის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ ეს არის მილიონობით ადამიანის, მათ შორის, ვთქვათ, მსოფლიო რანგის აკადემიკოსთა სრული უგულებელყოფა, მასხრად აგდება თუ გაბიაბრუება.

ჩემი მიახლოებითი ვარაუდით, მსოფლიოს ზემოთ დასახელებული რანგის 100 აკადემიკოსს ერთად არ ექნება ამდენი ხელფასი, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი ფეხბურთელი ორი ფეხით მეტს გამოიმუშავებს, ვინემ ერთად აღებული 100 აკადემიკოსის ნიჭიერი თავი...

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია, ეტყობა აქაც სატანას მოციქულები ეფექტიანად მუშაობენ, რათა გზა დაუხშონ ნიჭიერებას და მსოფლიო მართონ თავიანთ ნებაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, არის იმის საშიშროება, რომ მსოფლიოში, გარკვეულ პერიოდში სატანა და სატანისტები გაბატონდეს, რომელიც კაცობრიობის ბოლომდე გარყვნას და მოსპობას შეეცდება. მერმე კი ქრისტეს მეორედ მოსვლა და განკითხვის დღის დადგომაც გარდაუვალია. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს – ღვთის რჩეული და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ცოდვებიც ნაკლები აქვს ღვთის წინაშე. ამიტომაც. სატანები და სხვა ჯურის ავანტიურისტ-ლიბერასტები ჩვენს მართლმადიდებელ ქრისტიან ერს ვერ დააჩოქებენ, რამეთუ უმრავლესობას სული აქვს სუფთა, ღვთივკურთხეული, ანუ „ღმერთი ჩვენთან არს“ და საქართველო ჭეშმარიტად გაბრწყინდება.

**„ვერავითარი უარყოფითი ძალა ვერ ძლევს საქართველოს სიყვარულსა და სიხარულს. საქართველო მტკიცედ იდგება მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე. ეს ჩვენი ბედია, ეს ჩვენი ჯილდოა, რომ საქართველო იყოს მართლმადიდებელი“, (ილია II).**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სავსებით სამართლიანად ბრძანებს – „ჩვენ მცირერიცხოვან, მაგრამ წარსულით ამაყ, თავისუფლებისმოყვარე ერს წარმოვადგენთ“.

დღეისთვის საქართველოში ე.წ. ოპოზიციურ პარტიებში, ერთობ ცოტა, მაგრამ არიან საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები, რომლებმაც უნდა შეძლონ თავიანთი პარტიების გაწმენდა უსახური და მოღალატე ადამიანებისაგან, და საბოლოო ანგარიშით, ჩამოყალიბდეს 2-3 ჭეშმარიტი ოპოზიციური პარტია, რაც თავისი საქმიანობით ქვეყანას წაადგება. მაგრამ, ვაი, რომ ეს ჯერჯერობით მხოლოდ საოცნებოა, რამეთუ საქართველოში არ არის დამკვიდრებული მაღალი პოლიტიკური კულტურა. თუმცა, მისასალმებელია, რომ „ქართული ოცნების“ შიგნით ჩამოყალიბების პროცესშია კონსერვატიული პარტია (პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თაოსნობით), რომლის არსი დიალექტიკურად გაგებული ტრადიციონალიზმია, ანუ ყოველგვარი პროგრესული ისტორიული ტრადიციის შენარჩუნება და გამდიდრება ცივილიზებული მსოფლიოსათვის მისაღები თეორიული პოსტულატებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნიუკონსერვატიზმით.

ამ გაგებით, უდავოდ მისასალმებელია ის, რომ საქართველოში 8 ივლისს ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის ძალისხმევით, ე.წ. „ლგბტ პარადფესტივალი“ აღიკვეთა. ხაზგასმით ვიმეორებთ, ეს არის ქართული ნების დემოკრატიული გამოვლინება და იმის მომასწავებელი, რომ აღნიშნული „პარადი“ საქართველოში არასოდეს ჩატარდება. ამის თავმდები ისიცაა, რომ ლგბტ პრაიდის ჩატარება არამხოლოდ მართლმადიდებლებისათვის, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა რელიგიური აღმსარებლობის პირებისთვისაც მიუღებელი და შეურაცხმყოფელია, აცხადებს საქართველოს აზერბაიჯანთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მრავალი კითხვა თუ პრობლემა არსებობს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების თაობაზე. მთავარი კითხვა კი ჩვენი სტატიის სათაურშივეა გამოტანილი, რომელ კითხვაზეც მრავალი მეცნიერის, პოლიტიკური მოღვაწის, ექსპერტის და ა.შ. პასუხი თითქმის ერთადერთია – **საქართველოს უფრო სჭირდება ევროკავშირის წევრობა, ვინემ ევროკავშირს, რამეთუ თუ იქ ყველა პირობაა ჩვენი ქვეყანა გაძლიერდეს** ეკონომიკურად და პოლიტიკურად, სიღრმისეულად ეზიაროს ევროპულ ცივილიზაციას, მყარად ჩადგეს მსოფლიო მაღალგანვითარებულ ქვეყანათა რიგებში... ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ დღევანდელი ევროპისა თუ ევროკავშირის პირობებში, ყველაფერი მხოლოდ სურვილი და ილუზიაა... ფაქტობრივად, ევროკავშირს (თუ ევროპას), აშშ-ს, მთლიანად მსოფლიოს დღეს სჭირდება შველა, რათა კაცობრიობა არ გადაგვარდეს. „ამერიკა და ევროპა პროვინციული გარყვნილების გზით“... სავსებით სამართლიანად აცხადებს პროფ. ზ. შათირიშვილი და არამხოლოდ ის. ასეთ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია მსოფლიოს პროგრესული ძალების კონსოლიდაციით ლიბერტარიანული თუ მრავალი სახეობის გარყვნილების თანმიმდევრული აღკვეთა. ამ კონტექსტით ევროკავშირს უფრო სჭირდება საქართველოს წევრობა.

საქართველო ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მოძღვრებითა და მსოფლიოში არსებული ყველა პროგრესული იდეით გაჯერებული ქვეყანაა, ევროკავშირში არის მისნაირი თუ არა – მსგავსი ქვეყნები, რომლებმაც საქართველოსთან ერთიანი ძალისხმევით უნდა აღკვეთონ კაცობრიობის განვითარება ლიბერტარიანული ანტისაკაცობრიო მიმართულებით. ამის შესახებ უეჭველად საყურადღებოა უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის მიერ, ამას წინათ ბუდაპეშტში კონსერვატიულ-პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე გაკეთებული განცხადება: „აქ არის პრემიერ-მინისტრი საქართველოდან, ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ მისგან, როგორ უნდა მოახერხოს პატარა ქვეყანამ რუსეთის ჩრდილში ცხოვრება ისე, რომ შეინარჩუნოს საკუთარი ქვეყნის ღირებულებები“. იმავე კონფერენციაზე ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ომახიანად და სიამაყით განაცხადა: **„ჩვენ ვფლობთ სუპერძალას, ეს არის რწმენა, ჩვენი ტრადიციები, ფასეულობები. ამ ძალთა გაერთიანებით შევძლებთ დავუპირისპირდეთ ყალბი თავისუფლების და სიმართლის სახელით მოსულ ბოროტებას, შევინარჩუნოთ სამყარო ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობებისათვის“.**

**საქართველო მარტოა, სრულიად მარტო... ჩვენ ყველა განსაცდელს გავუძლებთ და ვიქნებით ძალიან დიდხანს, მაშინაც, როცა არავინ იქნება.**



**რობერტ სტურუა**

ამიტომაც, საქართველოს წევრობა უწინარესად სჭირდება ევროკავშირსა და მთელ მსოფლიოსაც. ოღონდაც ერთი პირობით, ანუ – უპირობოდ, ყოველგვარ ფსევდოლიბერალურ „თეორიებთან“ მიერთების გარეშე. ასე უფრო წავადგებით მსოფლიოსაც. სხვა შემთხვევაში, საქართველო სჯობს, დარჩეს მარტო, ანუ როგორც დღესაა:

**„საქართველო მარტოა, სრულიად მარტო... ჩვენ ყველა განსაცდელს გავუძლებთ და ვიქნებით ძალიან დიდხანს, მაშინაც, როცა არავინ იქნება“ (რობერტ სტურუა, გაზ., „ახალი თაობა“, 2023, 6 ივნისი).**



**რევაზ გოგოხია,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
27.07. 2023წ.
მობ. 599 10-38-16

◉ მათქმევინეთ!

# „ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავს“!..

**პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ პარტია „ქართულმა ოცნებამ“ უზურპაციაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უმოწყალოდ დაჩაგრა, გადაწონა, რასაც, სიმართლე სიმართლეა, ვერ წაართმევ!**

**პარტია „ქართული ოცნების“ წევრები შალვა პაპუაშვილი, ირაკლი კობახიძე, მამუკა მდინარაძე და ზოგი სხვა, პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატები, დიპლომატიური სათამაშო კარტის – ბანქოს ერთი „მასტია“ და მათთვის – ხელისუფლებისთვის რაიმე უსიამო საქმეში ფონს გასვლას, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ნაცადი ხერხით, მეტი დამაჯერებლობისთვის სხაპასხუპით, სულმოუთქმელად ლაპარაკობენ, სხვანაირი „კრიმანჭულით“ მღერიან, პარლამენტის პარტია „ქართული ოცნების“ ცხვირაწეული დეპუტატების გემოვნების შესაბამისად, დარწმუნებულები თავიანთ ყუათიანობაში, ოპოზიციური პარტიების უნიათობით, მოუხერხებლობით, ისევ გაყალბებული, ფსევდოდემოკრატიული არჩევნებით ცდილობენ ხელისუფლებაში ყოფნას და ძალაუფლების დიდხანს შენარჩუნებას.**

**2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად გამარჯვებაში დარწმუნებულები, შემდგომ ადგილობრივ, მუნიციპალურ, საკრებულოს არჩევნებში იოლად გაიმარჯვებენ და 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარლამენტში უმრავლესობით გასასვლელად გზას გაიკაფავენ! ასე მოხდება, გაუთავებლად, შემდგომ წლებში საქართველოში დამყარდება საბჭოთა კავშირის დროს არსებული მმართველობის მეთოდები და ფაქტობრივად გვეყოლება ავტორიტარული ხელისუფლება, რასაც იძულებული გავხდებით, შევეგუოთ!!!**

**აქეთკენ მივყავართ პარტია „ქართულ ოცნებას“ და აღმასრულებელ ხელისუფლებას.**

**მაგრამ ნათქვამია, ხშირად „ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო“!..**

**მეც ასე მგონია!**



**ოთარ შონია,**
არქიტექტორი.
მობ. 571-39-05-92.

თეა წულუკიანი:

# მკვდარი რომ გჯობს... ვერ დაბრუნდებით „ვივამედის“ ბაიყუშით სათავეში!

**გადაშენების პირას მყოფი ფსევდოპოლიტიკური ძალის ფსევდოინტელექტუალი დარჩიაშვილი, თავად მუხთალი და უსამშობლო, ლამის ბალღობიდან რომელიღაც უცხოურ „ენჯეოს“ მიკედლებული და ამ გზით კაცად დამდგარი, მკვდარი რომ გჯობს ასჯერ, კი უნდა გაჩუმდე, მაგრამ ამას ჭკუა უნდა და ცოტა სინდისიც,** – ამის შესახებ კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი სოციალურ ქსელში წერს.

**„ფუი, რომ ვერ დავისვენეთ მე და ჩემნაირებმა და ამ საზიზღრებთან ხანგრძლივ ბრძოლაში, დიდწილად ჩაგვიარა გვერდით. არ ჩამოვარდება ეს ხელისუფლება, არა, სანამ უკეთესი არ მოვა. საზიზღრები ვერ დაბრუნდებით, ვერა, „ვივამედის“ ბაიყუშით სათავეში. დამარცხების პლატფორმაც უკვე შეგიქმნიათ და შეუბერეთ. რჩევანი ფონ კრამუნს სთხოვეთ“,** – წერს წულუკიანი.

დავით დარჩიაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა: **„შავაძის დაღუპვის ამბის ერთი ვერსიაა, რომ 2008 წელს მოკლეს; მეორეა, რომ ქართველთა პოზიციები გასცა, ოღონდ სტრასბურგს ამას ვერ აუხსნი, ყორღანაშვილსაც დაიცავდა“.**

# როდის დაისჯებიან საქადრისად იმ კაცის მკვლელობისთვის, რომელიც საქართველოსთვის ცოცხლობდა და მოღალატის სახელით 28 ტყვიით დაცხრილეს?



საქართველოს გენერალური პროკურატურა განაგრძობს ძიებას სერჟანტი როინ შავაძის უკანონო დაკავების და შემდეგ განზრახ მკვლელობის საკითხზე.

რამდენიმე დღის წინ საქმის პროკურორმა გიორგი მუჯირმა თქვა: სერჟანტი როინ შავაძის უკანონო დაკავების და განზრახ მკვლელობის საქმეზე შეკრებილია მტკიცებულებათა ის სტანდარტი, რომელიც დაკავებულთა ბრალეულობას ადასტურებს!

პროკურორის განმარტებით, ბრალდებული პირები 15 წლის განმავლობაში ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ იმისთვის, რომ მოცემული დანაშაული არ გახსნილიყო.

„15 წლის განმავლობაში კოორდინირებულად გამოძიებას ყალბი, შემუშავებული ვერსიის შესაბამისად ცრუ ინფორმაციას აწვდიდნენ, რადგანაც კონკრეტულად მათი დანაშაულებრივი ქმედებები არ დადგენილიყო. აღნიშნულის გარდა, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში მოწმეზე ზემოქმედების კონკრეტული ფაქტებია, ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებია, ასევე არის მათი მიმალვის საფრთხე, რის გამოც ბრალდების მხარე ულტერნატივოდ, მხოლოდ და მხოლოდ უმკაცრესი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენებას განიხილავს. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ბრალდებულები არასწორ ინფორმაციას გვაწვდიდნენ და ეს ყველაფერი კოორდინირებულად ხდებოდა. ამისთვის შეიქმნა კიდეც სისხლის სამართლის ყალბი საქმე, იმისთვის, რომ არ მომხდარიყო მათი დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლინება“, – აღნიშნა საქმის პროკურორმა გიორგი მუჯირმა.

**საქმე ეხება 2008 წელს მომხდარ ფაქტს, რა დროსაც როინ შავაძეს „კუდის“ თანამშრომლები ბათუმის ერთ-ერთ კაფეში, ჯერ კონდახებით გაუსწორდნენ, შემდეგ კი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქობულეთის და გურიის საზღვართან მრავალჯერადი გასროლით მოკლეს.**

ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (ჯგუფურად ჩადენილი, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობა), სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით (განზრახ უკანონო დაკავება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია) და სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამ-



სახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით) დაიწყო.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე (განზრახ მკვლელობა), სსკ-ის 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება) და სსკ-ის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით.

როგორც ცნობილია, თავდაცვის სამინისტროს ბრიგადის სერჟანტის, 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილის როინ შავაძის უკანონო დაკავების, განზრახ მკვლელობის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, საქართველოს პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა 10 პირის მიმართ დაიწყო, მათგან 8 პირი დაკავებულია, ორი პირის – იმჟამინდელი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროსის, თეიმურაზ პატარიძისა და ყოფილი სპეცრაზმელის გიორგი არაბულის მიმართ კი ძებნა გამოცხადდება.

ბრალდებული პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება დაედო საფუძვლად, რომლის მიხედვითაც, „შავაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის, კერძოდ, სიცოცხლის უფლების როგორც პროცედურული, ასევე არსებითი ნაწილის დარღვევა დადგინდა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებაზე და გამოძიების მსვლელობაზე ზედამხედველობას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ახორციელებდა.




* * *

**როინ შავაძის პიროვნებით მაშინდელი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი 2008 წლის 15 აგვისტოს დაინტერესდა, იმავე დღეს, ის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობაში დაიბარეს, თუმცა მალევე გამოუშვეს, მეორე დღეს კი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მივიდნენ იმ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, სადაც შავაძე მსახურობდა და იქაც ვითომ ყველაფერი გამოიკვლიეს.**

ამ ამბიდან ძალიან მალე როინ შავაძე დაიჭირეს ქალაქ ბათუმში, ყველას თვალწინ. საჯაროდ კი განაცხადეს: შავაძე უცხოეთის სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომლობდა და ნარკოტიკებს მოიხმარდაო.

**სინამდვილეში ვინ იყო როინ შავაძე?!**

**იგი გახლდათ საქართველოს შეიარაღებული ძალების სერჟანტი, მონაწილეობდა ერაყის მისიაში და აგვისტოს ომში და სამსახურებრივი მოვალეობის საუკეთესოდ შესრულებისთვის მედლითაც იყო დაჯილდოებული.**

გარდაცვლილისადმი ბრალდება მაშინდელმა ხელისუფლებამ ასე ჩამოაყალიბა: როინ შავაძე სამშობლოს მოღალატე იყო.

ამის მიუხედავად, შემდეგ, საქმის მოკვლევისას, მსგავსი რამ არ დადასტურდა, არც ხელისუფლების მხრიდან დადგენილა რაიმე და არც სისხლის სამართლის საქმეში არ მოიძებნება მსგავსი რამ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის განმარტებით, აჭარის მაშინდელმა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსმა დავალება მიიღო იმავე დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავით ახალაიასგან, რომ შავაძეზე ოპერატიული თვალთვალი ეწარმოებინა. შეგახსნებთ: მაშინ შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი გახლდათ.

**„28 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, გადატეხილი ჰქონდა კისერი, წელი, ხელფეხი, თითებიც კი მომტვრეული და თან ხელში რევოლვერი ეჭირა. მერაბიშვილმა რომ თქვა, ბადრაგს რევოლვერი წაართვა, გაიქცა და იმიტომ ვესროლეთო, წელსა და კისერში გადამტვრეული ადამიანი როგორ უნდა გაქცეულიყო? თუ გაიქცა, თითქმის ყველა ტყვია გულმკერდის არეში როგორ ჰქონდა მოხვედრილი?!**

**მისი მკვლელობიდან ერთი თვის თავზე ევროპის უფლებადამცველ თომას ჰამარბერგს შევხვდი სოზარ სუბართან ერთად. მას შემდეგ შეწყდა ჩვენზე ზემოქმედება – მითვლიდნენ, 50000 ლარი აიღე**

**და გაჩუმდიო. გვითხრეს, შეცდომა მოგვივიდა, ამის სანაცვლოდ ფულს მოგცემთო... შევუთვალე, ჩემი მეუღლის სისხლი და სული არ იყიდება-მეთქი.**

**„აუცილებლად უნდა დაიკითხოს გივი თარგამაძე, რადგან სწორედ მან განაცხადა, ეჭვი გვქონდა, შავაძე მოღალატე იყოო. თუ მოღალატე იყო და ეს იცოდნენ, ომში რატომ გზავნიდნენ? როინი ნომერ პირველი მზვერავი იყო და წინა ხაზზე გაგზავნეს მოღალატე კაცი?! ის სამჯერ მიბრუნდა ომში, დაჭრილები გამოჰყავდა, უყურადღებოდ არც გარდაცვლილები დაუტოვებია. მერაბიშვილიც და ადეიშვილიც არიან პასუხისმგებელი ამ საქმეზე. რა თქმა უნდა, კუდ-მა და სოდ-მა აიყვანა და მოკლა ჩემი ქმარი. „ზემოდან“ თუ არ იქნებოდა ბრძანება, ვის შეეძლო მკვლელობის შესრულება?**

**„პასუხი იმან უნდა აგოს, ვინც მკვლელობის შემსრულებლებს ედგა სათავეში. ადამიანმა მთელი ცხოვრება სამხედრო სამსახურს და საქართველოს შეალია და ასე „დააჯილდოვეს“ ბოლოს!“**

**... ქუთაისში ჰყავდათ მისი ნაწილი გადმოყვანილი, ერაყში მიდიოდნენ ისე, რომ როინი არ მიმხელდა. რადგან შინ არ უშვებდნენ, მთხოვა, ჩავსულიყავი და სახლის ეზოდან აღებული მიწა წამეღო. ვკითხე, რად გინდა-მეთქი და მიპასუხა – გეხვეწები, წამომიღე, ლამაზი ყვავილის ნერგი მაქვს, ქოთანში ჩავრგავ და კაბინეტში დავიდგამო. ჩემი ჩატანილი მიწა თურმე ერაყში წაიღო და ისევ უკან ჩამოიტანა. როინი იყო კაცი, რომელიც საქართველოთი სულდგმულობდა...“** – იგონებდა როინ შავაძის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე **ციცინო შავაძე.**

* * *

ცოტა ხნის წინ ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანმა, პოლკოვნიკმა, **რეზო რომანაძემ** ასეთი რამ მითხრა: „აჭარის „კუდის“ ყოფილი უფროსის, ავადხსენებული თემურ პატარიძის მოადგილესთან ალექსანდრე ბალაძესთან საზოგადოებას სერიოზული და მკაცრი შეკითხვები აქვს, მათ შორის სერჟანტ როინ შავაძის მკვლელობასთანაც.

**ბალაძის უწყებაში დაიგეგმა სპეცოპერაცია როინ შავაძის წინააღმდეგ. მოგეხსენებათ, როინი მზვერავი გახლდათ, პატრიოტი კაცი იყო. დაგეგმეს სამარცხვინო სპეცოპერაცია, რის შესახებაც მშვენივრად იცის ბატონმა ბალაძემ და ჩემი აზრით, ისიც იცის, ვინ ესროლა პირველმა შავაძეს.... კიდევ ვიმეორებ, ამის შესახებ ინფორმაციებს ფლობს ალექსანდრე ბალაძე. შავაძის მკვლელობაში ათამდე ადამიანს აქვს მონაწილეობა მიღებული და ამ საქმის გამოძიება არავითარ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული. კაცი სულ ტყუილად გაწირეს, შეეშინდათ ბალაძეს, პატარიძეს და სხვებს ზევით, მაშინდელ მთავრობაში, არ გაეთქვა შავაძეს მათი ბნელი საქმიანობის შესახებ და მოიცილეს“...**

როინ შავაძის მეუღლის ციცინო შავაძის სიტყვებით, **„ყოფილმა მთავრობამ პასუხი უნდა აგოს ამ მკვლელობისთვის. როინი მოკლეს იმიტომ, რომ მან აგვისტოს ომის შესახებ იცოდა ისეთი რამ, რაც არ უნდა სცოდნოდა, თორემ მას პირადი მტრები არ ჰყავდა. არ აკმარეს ის, რომ მხეცურად მოკლეს და სამშობლოს მოღალატის სახელიც მიაკერეს. რას უღალატა, ვის უღალატა, რატომ და როგორ? – ამას დამტკიცება ხომ უნდოდა და იოლი ხერხი მოძებნეს – ნარკომანი გამოიყვანეს კაცი, რომელმაც ოთხი ომი გამოიარა და საქართველოსთვის ცოცხლობდა, მთავრობამ მოკლა. კაცს, რომელიც ყველაფერს აკეთებდა სამშობლოსთვის, მოღალატის იარლიყი მიაკერეს, მაგრამ ეს მკვდარსაც ვერ დაუმტკიცეს!“**

* * *

**გურიაში, ნადირობისას, ფრინველს ახლოდან რომ ესვრიან, იტყვიან: ჩიტი „დავჩარჩმეთო“, ანუ დავცხრილეთ, ბევრი ტყვია მოხვდაო, ასე იყო თურმე „დაჩარჩმულ“-დაფლეთილი უმოწყალოდ გამეტებული როინ შავაძის სხეული.**

დღეს კი უთვლელი სისაძაგლეების ჩამდენების კრიტიკის მოსმენა არ უნდათ ზნედაცემული სააკას მომხრეებს და ენამოჩლექით ამბობენ: ჩვენს „მიშიკოს“ კუჭი სტკივა, ნევნი უჩანს, თავი მოგვეჭრა, „რუსეთუმე ქოცები“ ამ მსოფლიო რეფორმატორ კაცს „გამაშებით“ დაარბენინებენ „ვივამედის“ პალატაშიო.

რას დარბის, დაწვეს სანატორიუმივით ოთახში, რა სპორტსმენობა მოინდომა; თავის დროზე ხეზე ატუზული უსტვენდა ფეხბურთის თამაშის დროს თურმე თავის თანატოლებს და ახლა გადაწყვიტა სპორტსმენობა? ფეხბურთელის გეტრებით დაფათურობს პალატაში და კალათბურთს თამაშობს საკუთარი ხელით გაკეთებული „ბურთებით“, პოლონელ და მსოფლიოს სხვა გაიძვერებთანაა შეკრული, ჩუმად გადასცემს თურმე თავის ბიოლოგიურ თუ ფეკალიურ მასალას ამ აფერისტებს, „მარგველას“, „გუბოზას“ და მათნაირ ნამუსგარეცხილებს კი ქვეყნის ძარცვით, ბიზნესების დატერორებით, ხალხისთვის შუაღამისას, თავდასხმით, ქონებების წაღლეტვით, ქართული მიწების, სოფლების გაყიდვით და ათასი უბედური მაქინაციით ნაშოვნ ფულს უხდის ამ არაკაცებს – ჩემზე კარგი ილაპარაკეთო...

როგორც ჩვენი ძველები ამბობდნენ ხოლმე: ხალხნო და ჯამაათნო, ბოლოს და ბოლოს, რა მოვლენაა ეს კაცი, ვინ არის, რა უნდა საქართველოსგან?!

როინ შავაძემ თუ რამე დააშავა და თუ ასეთი კრიმინალი, გამყიდველი და მოღალატე იყო, ქაქუთში რატომ ჩახვრიტეს და 28 ტყვია რად უნდოდა მის მოკვლას...

**ვინ აწამა და მოკლა სანდრო გირგვლიანი, ზურა ვაზაგაშვილი ჩვენ ჩავცხრილეთ მანქანაში, აფრასიძეების ერთ ოჯახს ვერტმფრენებით ჩვენ დავესხით თავს და ჩვენ დავფლითეთ ტყვიების წვიმით? ასეთი რამდენი იყო კიდევ?!**

**„სააკა“ კი კვლავ ისტერიკობს, არ მოსწონს ციხეში ჯდომა და ის მინიმალური სასჯელიც ეუკადრისება, რომელიც, რატომღაც, ვითომდა, ე.წ. „პიჯაკების საქმეზე“ მიუსაჯეს...**

**რისი პიჯაკი და ჰალსტუხი, კაცი არის სახელმწიფო, სამხედრო დამნაშავე და მკვლელობის და მკვლელების ხელშემწყობი, მფარველი და წამქეზებელი.**

**ახლა ავადმყოფური წარმოსახვის ოპოზიციური პირები ბინძურად მავნებლობენ და თვალებმოსვირინგებულ, პოლიციელზე თავდამსხმელ ვიღაც გრიგორიადისს და მისთანებს წარმოგვიჩენენ გმირებად. ნამდვილი გმირები – როინ შავაძე და აგვისტოს ომის მონაწილე ვაჟკაცები, ამ არაკაცი, დედალი სააკაშვილის და მისი ვირთხა გარემოცვის გამო, მათი მხდალი შურის გამო, მათი სილაჩრის გამო, გაუმაძღრობისა და ღორობის გამო, სამარეში ნაადრევად დალპნენ, ესენი კი სიცოცხლეს გვიმწარებენ კვლავ, ბორძიკ-ბორძიკით, უამრავი მტრის გარემოცვაში ფრთხილი ნაბიჯებით მიმავალ ქვეყანას ისევ კრიჭაში უდგანან და მის დაღუპვას ცდილობენ.**

**დაუხშეთ საინფორმაციო ღრუ ამ ღვთის გარეგანებს, ნამდვილ ავაზაკებს!**

**ირანდა კალანდაძე**





დაუვიწყარი შეხვედრა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში. მარცხნიდან მეხუთე – ქეთევან გოდერძიშვილი.

# ამ კრებულმა ყველაფერს ბრწყინვალება მოსტაცა...

**ქეთევან გოდერძიშვილმა შექმნა ისტორიული ფაქტების ლექსებად წარმოთქმული ძვირფასი ნაშრომი, რომელიც უძღვნა დედას, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, 25 წლის ქეთევან სიმონიშვილის ხსოვნას.**

**ამ უაღრესად ორიგინალური, საგულისყურო ნაშრომის პრეზენტაცია გაიმართა ქუთაისში, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში. გთავაზობთ ქუთაისის უნივერსიტეტის, პროფესორ ლელა ჩოგოვაძის ჩანაწერებს ქეთევან გოდერძიშვილის წიგნზე „ისტორიისა და რწმენის გამოძახილი ლექსებით“.**

**2023 წლის 9-10 ივნისს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო ტრადიციული კონფერენცია „ქუთაისური საუბრები-XVIII“, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს პროფესორებმა მაგალი თოდუამ და ტარიელ ფუტკარაძემ.**

უნივერსიტეტის რექტორის შალვა კირთაძის ინიციატივით, უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში გაიმართა კონფერენციაზე მიწვეული ფილოლოგიის დოქტორის, ქეთევან გოდერძიშვილის, ლექსების წარდგინებაც. ღონისძიება გახსნა ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ხეცურიანმა. სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: **მარიკა ჯიქია, ჯამბუ ავალიანი, იზოლდა რუსაძე, მეოთხე კურსის წარჩინებული სტუდენტი ანა გელენიძე.**

ქალბატონმა მარიკა ჯიქიამ ბრძანა: სათაურიდანაც ჩანს,რომ განსახილველი წიგნი „ისტორიისა და რწმენის გამოძახილი ლექსებით“ არ არის მხოლოდ ლექსების კრებული. ამ წიგნს დაჰკრავს სამეცნიერო იერი, რასაც ამყარებს თითოეული ლექსის წინ წამძღვარებული მეტად საინტერესო ამონარიდები ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებიდან.“ ესენი არიან: აკადემიკოსები – **როინ მეტრეველი, მარიკა ლორთქიფანიძე, ჯაბა სამუშია;** პროფესორები: **გიორგი ოთხმეზური, დიტო ჩუბინიძე. მიხეილ ბახტაძე, სვიმონ მასხარაშვილი, ცნობილი მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია** და სხვები.

ასეთი მეთოდოლოგიით ლექსები პირველადაა წარმოდგენილი და, ამდენად, ეს სიახლეა. ისტორიული ფაქტებით გაჯერებული ლექსები საოცარი საგანმანათლებლო და შემეცნებითი ფუნქციით წარმოაჩენს ქეთევან გოდერძიშვილის ნაშრომს, ამეტყველებულს პოეზიის ენით. როგორც პროფ. ჯამბუ ავალიანი წერს, „ეს ის შემთხვევაა, როდესაც მამულის გრძნობას განსაცვიფრებელს“ დიდტანიანი სამეცნიერო მონოგრაფიები ვერ იტევს და ლექსად იღვრება.“

ეს კრებული არის ჭეშმარიტად პატრიოტული და მაღალი ეროვნული მეობით ამოძახილი მოსეს, სიენის, ფარნავაზისა და ქუჯის, ფარსმან ქველის, ვახტანგ გორგასლის, ფარსმან ლაზის, გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ ბაგრატიონის, თამარ მეფის, საქართველოს გამაერთიანებელი მეფეების, ცოტნე დადიანის, გიორგი ჭყონდიდელის, ამბროსი ხელაიას, ილია მეორის... მიმართ თაყვანისცემის გამომხატველი. ავტორი ეხება წმინდანების – იოანე ნათლისმცემლის, შუშანიკის, ქეთევანის, გაბრიელ სალოსის... ღვაწლს.




ლირიკული ლექსებიდან ფილოსოფიური ხედვის თვალსაზრისით გამოვყოფ ლექსს „მთვარე ბრძენი, ზემხედველი.“

ლონდონიდან ქეთევან გოდერძიშვილის ლექსებს გულმხურვალედ გამოეხმაურა ქ-ნი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი – გაერთიანებული სამეფოს ორგზის ორდენოსანი, ლონდონის პირველი ქართული სკოლის დამფუძნებელი, ევროპის, საქართველოსა და ბრიტანეთის განსაკუთრებული ღვაწლის ელჩი. იგი წერს: „ამ პოეტურ-ისტორიული ნაშრომის ღირსებაა მისი უნიკალურად შესრულებული სტილი, უშუალობა და ისტორიულ ფაქტთა სიმრავლე. თქვენმა კრებულმა ყველაფერს ბრწყინვალება მოსტაცა...“

ამ საგანმანათლებლო ნაშრომის რედაქტორი გახლავთ პროფესორ ნომადი ბართაია. მან ეს ნაშრომი დაახასიათა, როგორც კეთილშობილ ლექსთა თემატური რკალი, ავტორს აქვსო ღრმა ცოდნა ბიბლიისა და საქართველოს ისტორიისა.

წიგნის რეცენზენტი გახლავთ პროფესორი მარიკა ჯიქია.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ასეთი ლექსების ავტორი არის ენათმეცნიერი-ონომასტიკოსი. ონომასტიკაში არა ერთი და ორი სიახლის შემომტანი. ერთი ონომასტიკური სიახლე სტატიის დაბეჭდვამდე ლექსად აქვს გამოთქმული – „ბაგრატიონი გვარია?“

**მკითხველს ვაცნობებთ, რომ ამ დღეებში მკითხველმა მიიღო ამ ფრიად დაუღლელი და მაძიებელი ონომასტიკოსის ახალი წიგნი – ახალი სიტყვით.**

**ლელა ჩოგოვაძე**



# ძველი რომიდან აფხაზეთამდე

**გოლო წლეგში აფხაზეთში სულ უფრო მეტად აკვირდებით რუსეთის პოლიტიკა. ნებისმიერი აფხაზი პოლიტიკოსი თითქოს განწირულია პრორუსულობისთვის, ისევე, როგორც აფხაზურ საზოგადოებას არ აქვს არანაირი სხვა შესაძლებლობა, მოსკოვზე ორიენტაციის გარდა. მაშ რატომ არ უნდა სტიმულირებდნენ ჩვენთან რეფორმების გატარებას, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას, კორუფციასა და დანაშაულთან ბრძოლას? რატომაა, რომ ყოველ ჯერზე, როცა აფხაზეთი პრეზიდენტს ან პარლამენტს ირჩევს, მოსკოვი აუცილებლად დებს ფსონს რომელიმე სუბიექტზე, თანაც, როგორც წესი, არცთუ საუკეთესოზე, მერე კი ყველა შესაძლო ხერხითა და მეთოდით ცდილობს მისი გამარჯვების უზრუნველყოფას?**

**რატომაა, რომ აფხაზებს ყოველ ჯერზე, ყოველი ახალი არჩევნების შემდეგ არნახული ძალისხმევის გამოჩენა უწევთ სამართლიანი შედეგების მისაღწევად? რატომაა ამისთვის საჭირო ან რევოლუცია, ან მისი მუქარა?**

მოსკოვის ეს დაუოკებელი ჟინი, საკუთარი კანდიდატები გაიყვანოს და აფხაზეთში საერთო ვითარების უცვლელობა უზრუნველყოს, გასაგები იქნებოდა, რომ არსებობდეს რესპუბლიკის მტრის მხარეს გადასვლის რისკი. მაგრამ მსგავსი რისკი მინიმალურია. მაშ რატომ, რისთვისაა საჭირო ეს ყველაფერი?

**რაში სჭირდება რუსეთს რაღაც ნაკვეთი ბიჭვინთაში, რომლის სადარიც მას საკუთარ ტერიტორიაზე ასობით ათასი აქვს? რაში დასჭირდა საცოდავი აიბღა, რომლის ირგვლივაც ისეთი სკანდალი აგორდა, თითქოს საშუალო ევროპული ქვეყნისხელა რეგიონზე ყოფილიყოს საუბარი? რაში სჭირდება მას აფხაზური სანაპირო, რომლის ხელში ჩასაგდებადაც უკვე წლებია, იღვწის, ამჯერად – აპარტამენტების შესახებ კანონის გამოყენებით? რუსეთის ტერიტორია ხომ 17 მლნ. კვ. კმ-ს ითვლის და რა შეპყრობილობაა ასეთი, მიზანში ამოიღო 210 კმ-იანი სანაპირო, როცა თავად პლუტონისოდენა მიწებს ფლობ მათზე მოსახლეობის შედარებით მცირე რაოდენობით?** ან რატომ არ სურს რუსეთს, აფხაზეთი აქციოს სამაგალითო სახელმწიფოდ, რომელიც სამართლიან არჩევნებს, კანონის უზენაესობას, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერეს დაეფუძნება? რატომ ცდილობს მოსკოვი აფხაზეთში პირიქით – ჩამორჩენილობის, არქაიზმისა და ავტორიტარული გამოვლინებების შენარჩუნებას?

კითხვა ბევრია, პასუხი – არც ისე. ზოგადად, ჩვენში გავრცელებულია მოსაზრება, რომ რუსეთის მსგავსი გაუგებარი პოლიტიკა ვითარების ცუდი ანალიზისა და არასწორი გადაწყვეტილებების შედეგია, რომ მთლიანობაში, ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ ცალკეულ მოსკოველ ჩინოსნებს გარკვეული დეტალები არ ესმით და თუ კარგად ავუხსნით, რაში ცდებიან, ყველაფერს გაიგებენ და სწორ გადაწყვეტილებებსაც მიიღებენ. თურმე, სულ ესაა.

ოჰ, ჩემო აფხაზებო... ჩვენს სწრაფვაში, რუსეთს გონებით გავუგოთ, მის გადაწყვეტილებებს ლოგიკური, რაციონალური ახსნა მოვუძებნოთ, მარტონი ნამდვილად არ ვართ და მით უფრო პირველები. რაღა შორს წავიდეთ? – აგერ, ქართველები უკვე 30 წელია, ვერ იგებენ, რაში დასჭირდა მოსკოვს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომელთაგანაც ხარჯების მეტი, არაფერი აქვს. უკრაინელები ვერ იგებენ, რაში სჭირდებათ რუსებს ეს დონბასი, რომელზეც იმდენის დახარჯვა მოუწევთ, რომ იმ ფასად რუსეთის რამდენიმე ოლქი თავიდან აშენდებოდა...

ვერც მთელი მსოფლიო იგებს, რატომაა რუსეთი მზად, უარი თქვას ყველა თავის მიღწევაზე, ყველა პრივილეგიაზე, მსოფლიო რუკაზე განსაკუთრებულ ადგილზე, ნავთობისა და გაზის ევროპულ ბაზარზე, დასავლურ ტექნოლოგიებზე... და ეს ყველაფერი - საეჭვო მიზნისთვის, უკრაინელები რუსებად აქციოს! რატომ? რისთვის? ვისთვის? ვინ იხეირებს ამით?

პასუხები ამ კითხვებზე არაა და არც თვალსაწიერ მომავალშია მოსალოდნელი. პასუხებს ვერც უგონიერესმა ფეოდორ ტიუტჩევმა მიაკვლია და ჩვენზე - რიგით მოკვდავებზე რაღა ითქმის?!

სინამდვილეში, პასუხები იმიტომ არ არსებობს, რომ კითხვებია კოორდინატთა არასწორი სისტემიდან, რომლის თანახმად, სახელმწიფო დონის ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მიიღება, ანუ, როგორც ბოლო დროს ამბობენ, პრაგმატულად. როგორც კი გააცნობიერებთ, რომ რუსეთის რეალური მოტივები სულ სხვა სიბრტყიდანაა, ყველაფერს ტიუტჩევის გარეშეც მიხვდებით.

**რუსეთი – ეს არის იმპერია და ყველა მისი ნაბიჯი საერთაშორისო არენაზე არა პრაქტიკული ინტერესებიდან, არამედ იმპერიის გაძლიერება-გაფართოებისკენ სწრაფვიდან გამომდინარეობს.**

**მოსკოვი სატელიტებისა და ვასალებისგან მატერიალურ სარგებელს არ ეძებს – პირიქით, მზადაა, მათ დასაქვემდებარებლად მილიარდები კარგოს.**

მოსკოვს აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი, დონბასი არა თავისთავად სჭირდება, არამედ როგორც იმპერიის გაფართოების სიმბოლოები, რადგან როგორც კი იმპერია გაფართოებას წყვეტს, იგი პირველ ნაბიჯს დგამს დაშლისაკენ. გაიხსენეთ: რომმა რღვევა მას შემდეგ დაიწყო, რაც გერმანიაში ზღვარი გაავლო და საკუთარ თავს უთხრა, „ამ ზღვარს იქით აღარ გავფართოვდებიო“.

და მთავარი: **თამაშის წესები დ მართვის სისტემა იმპერიის გავლენას დაქვემდებარებულ ყველა ტერიტორიაზე ერთიანი უნდა იყოს. დედაქალაქიდან ყველაზე მოშორებულ სოფლებამდე ბიუროკრატიული აპარატი, ძალოვანი უწყებები, ბიზნესი, ეკონომიკა – ყველაფერი ერთნაირი წესებით უნდა ფუნქციონირებდეს. გამონაკლისები დაუშვებელია. აფხაზეთი ვერ იქნება რუსეთზე უკეთესი, მისი სისტემა ვერ იქნება უფრო რაციონალური, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოწვევა იქნება ერთიანი წყობისთვის.**

ნებისმიერი იმპერია თავის ტერიტორიაზე ერთნაირ სამართლებრივ, ბიუროკრატიულ და თუნდაც ურბანისტულ სივრცეს ქმნის. რას აკეთებდნენ რომაელები ახალ-ახალ ტერიტორიებზე შესვლის შემდეგ? – აშენებდნენ აბანოებსა და ამფითეატრებს. რომიდან კართაგენამდე, გერმანიიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე, ნებისმიერ ქალაქსა თუ დაბაში რომ მოხვედრილიყავით, უშეცდომოდ გამოიცნობდით, რომ რომის იმპერიაში ხართ – ერთნაირი არქიტექტურითა და თამაშის ერთიანი წესებით.

თუ მოგეჩვენათ, რომ რომი მეტისმეტად შორეული წარსულია, გაიხსენეთ სსრკ და სოციალისტური ბანაკი – ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვრიდან ბერლინის კედლამდე ნებისიერ ქალაქსა თუ დაბაში ერთნაირი „ხრუშჩოვკებითა“ და პანელური მიკრორაიონებით. ჩეხებსა და უნგრელებს ალბათ, ასევე უკვირდათ, რატომ აშენებდნენ ეს გადარეული რუსები იმ საშინელ მიკრორაიონებს და რატომ ადარდებდათ, როგორი იქნებოდა პრაღისა და ბუდაპეშტის განაშენიანება. მაგრამ იმპერიას მსგავსი უმნიშვნელო დეტალებიც ადარდებს – მის ტერიტორიაზე განაშენიანებაც ერთნაირი უნდა იყოს. დუშანბეში, ხოლო შემდეგ პრაღაში მოხვედრილი, მაშინვე უნდა მიმხვდარიყავით: აქ ერთი ტერიტორიაა და თამაშის ერთიანი წესები.

**ასე რომ, რუსეთი აფხაზეთის განვითარებას იმიტომ კი არ ამუხრუჭებს, რომ ვიღაცამ რაღაც არასწორად გაიგო და თუ კარგად აუხსნი, მიახვედრებ. რუსეთი ყოველთვის დაამუხრუჭებს აფხაზეთის განვითარებას იმ მარტივი მიზეზით, რომ იმპერიის დაუწერელი კანონებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე თამაშის წესები და მართვის სისტემა დაახლოებით ისეთივე უნდა იყოს, როგორიც მოსკოვშიც კი არა - უფრო კრასნოდარის მხარეშია.**

**აფხაზების ნებისმიერი მცდელობა, ამ ნორმისგან გადაიხარონ, ღალატად იქნება აღქმული. არადა, კოორდინატთა არსებულ სისტემაში აფხაზეთს არ აქვს შანსი, კორუფციის, კრიმინალისა და მზარდი ავტორიტარიზმის ჭაობს დააღწიოს თავი: მათთვის თავის დაღწევა ხომ თამაშის წესების დარღვევის ტოლფასი იქნებოდა, ეს კი „უპატიებელი თვითნებობაა“.**

**ნათქვამია, მითხარი, ვინაა შენი მეგობარი – და გეტყვი, ვინ ხარ შენო!..**

**ბატალ ამიჩბა.**

(ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება)

**„აქცენტი“**

# მოსკოვმა აფხაზეთში 200 000-მდე რუსის ჩასასახლებლად შანტაჟს მიჰყო ხელი

**მოსკოვმა ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის 200 000-მდე მოქალაქის ჩასახლებისა და მათთვის განკუთვნილი აპარტამენტების მშენებლობის სადავო პროექტის რეალიზების მისაღწევად „ურჩი“ აფხაზებისთვის დაფინანსების შეწყვეტით შანტაჟს მიჰყო ხელი.**

კრემლის შესაბამისი გზავნილი დღეს მოსკოვის ზეწოლას დაქვემდებარებულმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ გააჟღერა და მოტივად ის „მძიმე, ძვირადღირებული ომი“ დაასახელა, რომელშიც რუსეთია ჩართული. ბჟანიას თქმით, „თუ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაშინ საკუთარი ეკონომიკური დატვირთვაც უნდა გააჩნდეს“.

**„ყველამ ვიცით, რომ ჩვენს ძალოვან და სხვა სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულთა ხელფასებს წლებია, რუსეთი გვიფინანსებს. მაგრამ დღეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ძალიან მძიმე ომშია ჩაბმული – ომში, რომლის თითოეული დღე დაახლოებით 500 მილიონი დოლარი უჯდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ათასობით დაღუპულსა და დაჭრილზე. დავუშვათ, რაღაც ეტაპზე რუსეთის ფედერაცია ვეღარ გაგვიწევს ფინანსურ დახმარებას... რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში?**

**არავის ვაშინებ, მაგრამ თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, საკუთარი ეკონომიკური დატვირთვაც უნდა გვქონდეს! და ამ კუთხით ჩვენი განვითარების მთავარი ვექტორი ტურიზმია. ამიტომაც 30-ჯერ და 40-ჯერ მეტი სასტუმრო თუ აპარტ-ოტელი უნდა აშენდეს, ამისთვის კი აუცილებლადაა მისაღები კანონი, რომელიც უცხოეთის მოქალაქეებისთვის აპარტამენტების აშენების შესაძლებლობას მოგვცემს“,** – განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა.



ცნობისთვის: აფხაზეთში 200 000-მდე რუსის ჩასახლება და მათთვის მიწისა და უძრავი ქონების მიყიდვის მოქმედი საკანონმდებლო აკრძალვის გაუქმება ერთ-ერთია კრემლის მიერ სოხუმის ხელისუფლებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს შორის, რომელთაც “ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის შექმნის მიზნით კანონმდებლობის ჰარმონიზაციის“ მოსკოვიდან გამოგზავნილი 45-პუნქტიანი გეგმა მოიცავს.

ამ გეგმის პუნქტებს შორის იყო სოხუმის აეროპორტის რუსი ინვესტორისთვის 49 წლით გადაცემაც, რომელსაც რუსეთმა, აფხაზური ოპოზიციის, საზოგადოებრიობისა და საექსპერტო წრეების წინააღმდეგობის მიუხედავად, 26 ივლისს მაინც მიაღწია.

**საგულისხმოა, რომ თბილისიდან ამას პროტესტით მხოლოდ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გამოეხმაურა. საქართველოს ხელისუფლების ყველა სხვა წარმომადგენელმა სოხუმის აეროპორტის რუსეთისთვის გადაცემის ფაქტი უბრალოდ არ შეიმჩნია.**




**მე ვიცნობ ბატონ რობერტს და ვიცი, რომ საქართველოსადმი მისი დამოკიდებულება არის უიშვიათესი. სხვათა შორის, საქართველოდან წასული ებრაელების უმრავლესობას ასეთი ემოციური დამოკიდებულება აქვს ჩვენი ქვეყნისადმი. ბატონ რობერტს სულ ახლახან 80 წელი შეუსრულდა და გვინდა გულითადად მივულოცოთ — ჩვენი მხრიდან ეს იქნება სიყვარული სიყვარულის წილ. დღეგრძელობა და გახარება ვუსურვოთ ჩვენს შორეულ და ახლობელ თანამემამულეს.**

**გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთან, დავით აღმაშენებლის სახელობის ჯილდოს მფლობელთან, სსფ „გულთა კავშირის“ პრეზიდენტთან, ბატონ რობერტ ადართან (ახიაშვილი).**

# სანამდე ცოცხალი ვიქნები, საქართველოს სიყვარული ჩემს გულში იქნება

**— ბატონო რობერტ, როგორი განცდაა ორი ერის შვილობა?**

— ეს დიდად საპასუხისმგებლო ტვირთი და საამაყო განცდაა. უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო იმ ერის სარწმუნოების მატარებელი, რომელმაც იხილა ღმერთი, მაგრამ სადაც უნდა ვიყო, რომელი ერის შვილებსაც არ უნდა შევხვდე, ყოველთვის ვამბობ, რომ მე ვარ ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით ვარ ებრაელი, ქართული მიწის და ცის სურნელით გამოზრდილი ადამიანი, რომელმაც პირველად გავახილე თვალი ქართველთა კურთხეულ ქვეყანაში, პირველად შევიყნოსე ჰაერი, დავინახე მზე, წარმოვთქვი პირველი სიტყვა, დავინახე ჩემი ძვირფასი, უტკბილესი დედა, რომლის საფლავიც ახლა ჩახუტებული აქვს საქართველოს მიწას, ეს არის ადგილი, სადაც პირველი ასო-ბგერა დავწერე, პირველად დავლიე სიყვარულის სადღეგრძელო ჩემს უსაყვარლეს ქართველ და ებრაელ მეგობრებთან ერთად. ყოველივე პირველი, რაც საქართველოში განვიცადე, ტკბილად მაგონდება და სანამდე ცოცხალი ვიქნები, საქართველოს სიყვარული ჩემს გულში იქნება დავანებული.

ვინმემ ისე არ წარმოიდგინოს, თითქოს მე, ე.წ. „ქართულ სათბურში“ მეცხოვროს, არა, იყო წინააღმდეგობები, უდიდესი წინააღმდეგობებიც, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზეც ვყოფილვარ, მაგრამ ყველაფერი იყო თითქოს ცუდი სიზმარი და მეხსიერებამ შემოინახა მხოლოდ ტკბილი წუთები საქართველოსთან დაკავშირებით.

**— როგორც ვიცი, საქართველოდან წასული „ქართველები“ ერთმანეთთან განსაკუთრებულად მეგობრობთ, ხშირად ხართ ერთად, ორგანიზაციაც კი შექმენით „გულთა კავშირის“ სახელწოდებით.**

— დიახ, თქვენმა მკითხველმა ალბათ იცის, რომ ჩვენ ისრაელში ჩამოვაყალიბეთ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გულთა კავშირი“ და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით საქართველოდან ისრაელში ამოსულ, ასევე საქართველოში მაცხოვრებელ ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს, ეროვნების განურჩევლად. ამ საპასუხისმგებლო საქმეში ჩვენს გვერდითაა თავისი საქმის პროფესიონალი, შესანიშნავი პიროვნება, პროფესორი შალვა წიწუაშვილი, მისი წარსული, მეცნიერული გზა და კეთილშობილება განსაზღვრავს მისი ცხოვრების არსს. „გულთა კავშირში“ მისი ყოფნა და მასთან ურთიერთობა ერთგვარი სიამაყის გრძნობას გვანიჭებს, ბატონი შალვა მრავალი ჯილდოსა და რეგალიის მფლობელია, მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი მისთვის ის გარემოცვაა, რომელიც გარს ეხვევა, ანუ ჩვენ, მისი მეგობრები, რომლებიც სავსე ვართ მისდამი პატივისცემით. ეს ამკობს და ალამაზებს მის ასაკს და სტიმულს აძლევს, რომ ახალგაზრდული შემართებით იდგეს ჩვენს გვერდით, იგი ღირსეული დამფუძნებელი და ჩვენი გაერთიანების ძალზე აქტიური წევრია.

სამი საუკეთესო წიგნი – „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“, „საქართველოს ებრაელთა პროზა“, „ქართველ ებრაელთა სიბრძნის წყარო“, რომლებმაც ტრიუმფით მოიარა საქართველოს ქალაქები, „გულთა კავშირის“ სიამაყეა. ჩვენ დღეს გვერდით გვყავს ასეთი სახელოვანი მამულიშვილი და მას სათუთად უნდა გავუფრთხილდეთ, ის გახლავთ საამაყო მეცნიერი, რომელიც უდიდეს კვალს ტოვებს ჩვენი ერის ისტორიაში.

ჩვენთან არის ქართულ და ებრაულენოვანი შესანიშნავი მწერალი ნუგზარ ჯანაშვილი, ჩვენი გუნდის წევრია პროფესორი ლადო ჭელიძე, რომელიც ბრწყინვალედ ფლობს „თორას“ და საუკეთესოდ აკეთებს მის განმარტებებს.

ძალიან გვახარებს, რომ ჩვენს გაერთიანებას ახლახან შემოუერთდა პროფესორი, დოქტორი გერშონ ორენი, მან თავად გამოთქვა სურვილი, ყოფილიყო „გულთა კავშირის“ წევრი.




არანაკლებ პატივსაცემი ადამიანები არიან „გულთა კავშირის“ წევრები: ცნობილი პროფესორი ირინე გიგილეიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, შესანიშნავი შემოქმედი, ჩვენი მეგობარი შოთა წვენიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი ალექსანდრე პელეგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი, ქალბატონი იზოლდა კრიხელი, რომელმაც „გულთა კავშირის“ შესანიშნავი გაზეთი ჩამოაყალიბა, ჩვენი გაერთიანების საამაყო წევრია ჩვენი ძმა და მეგობარი, მომღერალი იუზა მოშიაშვილი, ჩვენი გუნდის წევრია შვიდი ენის მცოდნე ადამიანი, კაცი, რომელმაც ზეპირად იცის, იერუსალიმში სად, რომელი ქვა დევს და თითოეული ეს ქვა რას ღაღადებს, ეს კაცი გახლავთ მერაბ მიქაელი. ეს ადამიანები პირადად მე მაძლევენ ძალას, ჩემი შრომის, დროისა და ხანდახან მატერიალური დანახარჯების ფასად განვახორციელო ის საქმე, რომელიც 6 წლის წინ დავიწყეთ.

**— ფინანსურ პრობლემებზე მიანიშნებთ?**

— ორგანიზაციის არსებობის ყველა ეტაპზე იყო ფინანსური პრობლემები და ახლაც მტკივნეულ თემად რჩება „გულთა კავშირისთვის“ ეს საკითხი, თუმცა მაშინ, როცა პანდემიამ ლამის მთელი დედამიწა გააჩერა, ვერ შეაფერხა „გულთა კავშირი“. სწორედ პანდემიის პირობებში განვახორციელეთ რამდენიმე სახის შესანიშნავი პროექტი თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გულთა კავშირი“ არ არის ძლიერი ფინანსური შესაძლებლობების ორგანიზაცია, მაგრამ იმას მაინც ვაკეთებთ, რაც პირადად ჩვენ შეგვიძლია, ანუ მომავალ თაობებს გადავცეთ, რაც ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა დაგვიტოვეს – სამშობლოს, იმ ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, სადაც გაჩნდა და დაიბადა ღმერთის ნებით ჩვენი სიცოცხლე, სადაც დაირწა ჩვენი აკვანი, სადაც ვისწავლეთ დედა ენა, სადაც აზრი მივანიჭეთ ჩვენს სიცოცხლეს, ეს ხომ ჩვენი მშობლიური საქართველოა. ქართველი და ებრაელი კაცის გულები, **გარდა საქმიანი ურთიერთობებისა,** ყოველთვის შეერთებული იყო წმინდა და მაღალი ადამიანური სიყვარულით.

„გულთა კავშირის“ თითოეულ წევრს გათვითცნობიერებული ჰქონდა საკუთარი შესაძლებლობები და მოვალეობები ჩვენი თემისა და ერის წინაშე, რა გზით შეიძლებოდა მიგვეღწია ფინანსური სიდუხჭირის პირობებში საერთო მიზანდასახულობისთვის, რომ ჩვენს მშობლიურ საქართველოსთან შეგვენარჩუნებინა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა და თანაცხოვრების უნიკალური კულტურა. საერთოდაც, ესაა ძირითადი არსი, რისთვისაც შეიქმნა „გულთა კავშირი“.

მომავალი წლის 16 თებერვალს მე პრეზიდენტობის ვადა მეწურება. მოეწყობა ახალი საპრეზიდენტო არჩევნები და აირჩევენ ახალ პრეზიდენტს. მიმაჩნია, რომ „გულთა კავშირს“ უნდა უხელმძღვანელოს დიდი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანმა, რათა ის საქმეები გააგრძელოს, რაც დაიწყო 6 წლის წინათ „გულთა კავშირმა“, როცა მისი პრეზიდენტი იყო ბატონი პაატა იოსებაშვილი.

**— თქვენ აღარ გინდათ პრეზიდენტობა? იქნებ კვლავ თქვენ აგირჩიონ...**

— მართალი გითხრათ, ეს დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა, აღარ მინდა, ფიზიკურადაც რომ შევძლო, ფსიქოლოგიურად ვეღარ მოვერევი, ძალიან გადავიღალე. არ არის ადვილი ასეთი საქმის ხელმძღვანელობა, თუმცა, ვფიქრობ, რომ მაინც ბევრი რამ გავაკეთე, მაგრამ ვერაფერს გავხდებოდი, ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები გვერდით რომ არ დამდგომოდნენ.

ახლახან მე მომანიჭეს პრემია – დავით აღმაშენებლის ოქროს მედალი. ეს ჯილდო მხოლოდ მე კი არა, მთელ ჩემს გუნდს ეკუთვნის, ისინი რომ არა, მე რაც არ უნდა გამეკეთებინა, არაფერი არ გამოჩნდებოდა, ჩემ გვერდით რომ არ ყოფილიყო ნუგზარ ჯანაშვილი, შალვა წიწუაშვილი, სხვა მეგობრები, ყველას ვერ ჩამოვთვლი, ვშიშობ, ვინმე არ გამომრჩეს. „გულთა კავშირი“ ეს არის ერთი გუნდი და კიდევ ვიმეორებ, მე მიხარია, რომ ამ ადამიანებთან მიხდებოდა და მიხდება მუშაობა.

**— ახლახან 80 წელი შეგისრულდათ. „საქართველოს რესპუბლიკა“ გულწრფელად გილოცავთ. 120 წელი იყავით ასე მხნედ და ენერგიულად. თქვენნაირი გულშემატკივარი და მოყვარული ბევრი ჰყოლოდეს საქართველოს.**

— ჩემს საქართველოს, ქართველ საზოგადოებას მინდა ვუთხრა: არავის შეგეშინდეთ 80 წლისა, ეს არის ის ხანა, როცა ყველაფერი თავიდან იწყება. მეგობრულ წრეში ვთქვი ამას წინათ: მომავალ წელს ერთი წლის გავხდები, ახალი ათვლა იწყება ჩემს ცხოვრებაში-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, სინამდვილეში კი, მინდა გითხრათ, რომ ყოველი წელი ადამიანის ცხოვრებაში არის ახალი ეტაპი, ახალი გამოცდილება, ახალი ამბავი და ყოველივე ეს იმდენად საინტერესოა, რომ ამისთვის ღირს სიცოცხლე. ცხოვრება მართლაც მშვენიერია და საერთოდ, ყველაფერი მშვენიერია, რასაც გვაძლევს ღმერთი, მთავარია, ეს მშვენიერება დავინახოთ და არასდროს დავკარგოთ სიყვარული, რომელიც არის ძალა და სინათლე ჩვენი ცხოვრების გზაზე.

**ესაუბრა**
**ირანდა კალანდაძე**

# ნატოში შესვლამდე ფრინველის გრიპს ებრძვიან

**ფინეთსა და ნორვეგიაში ფრინველის გრიპის შემთხვევები დადასტურდა. შედეგად ათასობით თოლია და ცხოველი დაიღუპა, ზოგიერთ რაიონში კი მოგზაურობის შეზღუდვები დაწესდა.**

ფრინველის გრიპი ბოლო წლებში გავრცელდა მთელ ევროპაში, რამაც მაისში და ივნისში გამოიწვია მილიონობით ფრინველის დახოცვა.

მედიის ცნობით, არქტიკულ ქალაქ ვადსოში, ნორვეგიის ფინმარკის საგრაფოში, ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ შეაგროვეს 10 000-ზე მეტი მკვდარი ფრინველი ამ მხარეში და ნორვეგიის სურსათის უვნებლობის სააგენტომ დააწესა მოგზაურობის აკრძალვა რეგიონებში.

მეზობელმა ფინეთმა, ასევე, განაცხადა, რომ H1N1 შტამი ახლა აღმოაჩინეს ცხოველთა 20 ფერმაში.

H1N1 ვირუსის შტამი წლების განმავლობაში გავრცელდა ფრინველებში, მაგრამ გლობალურად დაფიქსირდა აფეთქებები ძუძუმწოვრებში, როგორიცაა კატები, წაულა და წავი.

გაერო აცხადებს, რომ გლობალურმა გავრცელებამ გააჩინა შეშფოთება, რომ ვირუსით შეიძლება დაინფიცირდეს ადამიანებიც და მოუწოდა ქვეყნებს, გააძლიერონ დაავადების ზედამხედველობა და გააუმჯობესონ ჰიგიენა მეფრინველეობის ფერმებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ H1N1 ვირუსით ადამიანის დაინფიცირების რისკი დაბალია, მაგრამ დაავადება მონიტორინგს საჭიროებს.



ამჩნევთ განსხვავებას?




# ჩინური პარალელები

**ისტორიისთვის 15 წელიწადი ბევრი არაფერია, მაგრამ ამ ერთ ბეწო პერიოდსაც კი შესაძლებელია მიანიჭო საუკუნის სადარი დატვირთვა კეთილი საქმეებითა თუ უმნიშვნელოვანესი მოვლენებით.**

2008 წელს საქართველოს მაშინდელმა სამარცხვინო პრეზიდენტმა მის მიერვე მოგვიანებით გაყიდულ-გამოცვლილი სამშობლო დენთის კასრზე მოთუხთუხე ვითარებაში მიატოვა, პეკინის ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე ჩაფრინდა და, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა (რატომ ღმერთი არ გაიცინებს?), სწორედ მაშინ შეიტყო აგვისტოს ომის დაწყების ამბავი.

მოსალოდნელი იყო თუ არა რუსული აგრესია? რასაკვირველია, რასაც უამრავი ფაქტი ადასტურებს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის აღიარება, მკაცრად ვაფრთხილებდი სააკაშვილს, არ წამოგებოდა რუსეთის ანკესს და ცხინვალზე შეტევა არ გაებედაო, მაგრამ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი მოწოდებით უნდა იყო და არა პროფესიით, ჩვენი სახელმწიფოს მაშინდელი თავკაცი კი, თავადაც კარგად მოგეხსენებათ, ქვეყანას ისე უძღვებოდა, 2 ბატს არ მიაბარებდი კაცი. აღარაფერს ვამბობ მისი მმართველობის ეპოქის სინონიმებად ქცეულ სისხლის მდინარეებზე, უფლებააყრილ პრესასა თუ დარეკეტებულ ბიზნესზე. და როგორი სურათია დღეს? აბსოლუტურად კონტრასტული: მოზღვავებულ შინაურ და უცხოელ მტერთა დესტრუქციულ ქმედებათა მიუხედავად, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის ოპტიმიზმით მომლოდინე ამაყი საქართველოს ამაყ პრემიერ-მინისტრს გული საგულეში აქვს და, როგორც მშვიდობიანი სამშობლოს ღირსეული ლიდერი, ჯერ ისე დაესწრო სიჩუანის უზარმაზარი პროვინციის ქალაქ ჩენგდუში 150 სახელმწიფოს მეთაურის თანდასწრებით გამართული 31-ე უნივერსიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალს, ხოლო შემდეგ, დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, ცისქვეშეთში ისტორიული ვიზიტის ფარგლებში, უკვე პეკინში გადაინაცვლა, სადაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის წამყვანი მოთამაშე ჩინეთის ოფიციოზთან უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-ეკონომიკურ და ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო არტერიების გლობალურ პროექტებს განიხილავს.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ: ირაკლი ღარიბაშვილს ისეთივე მშვიდი საქართველო დახვდება, როგორიც წინა კვირაში დატოვა. ამჩნევთ განსხვავებას 2008 და 2023 წლებს შორის? ჰოდა, თუ ამჩნევთ, მოუფრთხილდით დღევანდელ ვითარებას!

**გია პლატონიშვილი**

ნერვოტურნირზე

# ყაზახური კომპლექსი

**რამდენიმე წლის წინათ ყაზახებთან ევროტურნირებზე ქართული კლუბების სავალალო სტატისტიკა ქუთაისის ტორპედომ გაამდიდრა აქტობესთან ორრაუნდიან დუელში მარცხით, ამიტომ კონფერენსლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე იმავე მეტოქესთან რიონისპირელთა მხრიდან რევანშს ველოდით, მაგრამ პირველი მატჩის წინ გაუთვალისწინებელი ფაქტი მოხდა.**

საუბარია იმ ავიაკომპანიის სანქცირებაზე, რომელსაც სტუმრები საქართველოში ჩარტერული რეისით უნდა ჩამოეყვანა და, ბუნებრივია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ფრენაზე ნებართვა არ გასცა. ვიზის პრობლემა შეექმნა აგრეთვე აქტობეს აფრიკელ ლეგიონერ ნიანგბოსაც...

მოკლედ, ჩიხური ვითარების განმუხტვა დროის სიმცირის გამო სათუო ჩანდა – გაიჟღერა იმ ვარიანტმაც, რომ ყაზახი ფეხბურთელები ნაწილ-ნაწილ ჩვეულებრივი ბორტურმე, სადა ვბანაობთ – რევანში კი არა, სტუმრებმა ისეთი დღე გაგვითენეს, საპასუხო მატჩს (3 აგვისტო) ინტერესი დაუკარგეს – 4:1.

მათ დამღლელი მგზავრობისა და დაუსვენებლობის არაფერი ეტყობოდათ მაშინ, როცა მასპინძლებს ფეხებზე თითქოს გირები ეკიდათ.

მოკლედ, მეტოქემ ყველა კომპონენტში გვაჯობა, განსაკუთრებით – ჯიგრიან თამაშში (ქუთათურები მხოლოდ 6-ჯერ დაჯარიმდნენ, აქედან მეორე ტაიმში – 1-ხელ!) და დამსახურებულად გაიმარჯვა, შუააზიელთა წარმატებაში კი ღირსეული წვლილი **ლუკა გადრანმა** შეიტანა, რომელმაც შესვენების შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო.

ახლოს იყო მიზანთან გორის დილა, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე – პოლონეთში 75-ე წუთამდე უგებდა პოლტავის ვორსკლას, მაგრამ საფინალო სას-



ტებით გვეწვეოდნენ და პირველი სამეულიც დასახელდა, მაგრამ მასპინძელთა ძალისხმევით გვირაბის ბოლოში სინათლე გამოჩნდა და აქტობე თამაშის დილას სხვა ავიაკომპანიის ლაინერმა ქუთაისში ჩამოიყვანა, ოღონდ უკვე ზემოთნახსენები ნიანგბოსა და ტრავმირებულ ფრანგ ბომბარდირ ვიდამონის გარეშე.

ტვენამდე დარჩენილ მცირე დროში 2 ბურთი გაუშვა და, ისევე როგორც წინა ეტაპზე სლოვაკურ დუნაისკა სტრედასთან, საინტრიგო ანგარიშით წააგო – 1:2. აღსანიშნავია, რომ უკრაინელი დემჩენკოს გაწვრთნილ შიდაქართლელთაგან თანამემამულეებს გოლი ასევე დნეპრისპირელმა კოვტალიუკმა გაუტანა.

ბრძენთა თამაში

# ოთარ შონია



თეთრები იწყებენ და იგებენ

თრ. მფ g4; ე c8; კკ b1,b2; მმ d7,e1; პპ c6,g5,h6.

შვ. მფ e6; ეე a5,h7; კ f8; მმ d6,h4; პპ b4,c5,d5.

ამოხსნა

1.მ e1-d3 ე h7:d7 /ყველა, სხვა, შემთხვევაში შავების მეფე მე-4-ე ხაზზე შამათდება/ 2.მ d3-f4+ მფ e6-e7 3.კ b2-f6+ მფ e7-f7 4.პ c6:d7 მ d6-b7 5.ე c8:f8+ მფ f7:f8 6.პ h6-h7 მ h4-g6 7.კ b1:g6 ე a5-a1 8.მ f4-e6+x

მუნდიალის წინ



# სერბეთში ბუნტია?

**სერბეთი საფუძვლიანად მიიჩნეოდა მოახლოებული საკალათბურთო მუნდიალის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად, მაგრამ აზიურ ფორუმამდე ერთი თვით ადრე ბალკანელთა ბანაკში მონასტერი მოულოდნელად აირია.**

მოვლენები საგანგაშოდ მას შემდეგ განვითარდა, რაც ტურნირში მონაწილეობაზე უარი სვეტისლავ პეშიჩის გუნდის უპირობო ლიდერმა, ნბა-ს მოქმედმა ჩემპიონმა **ნიკოლა იოკიჩმა** განაცხადა, რომელმაც დენვერს პირველად მოუხვეჭა ოქროს ბეჭდები.

მომხდარის შესახებ ნაირნაირი მიზეზი გავრცელდა და იმედია, ჭეშმარიტებას მალე შევიტყობთ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ აღნიშნულმა ფაქტმა ევროპული გრანდის მაგალითზე დომინოს პრინციპით იმოქმედა, რადგან მალევე მსგავსი გადაწყვეტილების თაობაზე კალინიჩმა და მიჩიჩმაც განაცხადეს.

ბუნებრივია, სერბეთის ნაკრები დასახელებული ტრიოს გარეშეც ყველასათვის მრისხანე მეტოქეა ბოგდანოვიჩისა და გუდურიჩის თამადობით, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად გაქაჩავენ მედლებამდე.

სხვათა შორის, იაპონია – ფილიპინებ – ინდონეზიაში სათუოა ბერძენი მეგავარსკვლავის იანის ანტეტოკუმპოს თამაშიც, რომელმაც ახლახან მოიშუშა ტრავმა და ელადელთა წინასწარ განაცხადშიც მოხვდა, მაგრამ საბოლოო ვერდიქტს მილუოკი გამოიტანს.

# — ორიოდე სიტყვით

### ფორუმი

**მარიბორი (სლოვენია).** ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. **ვერცხლი.** საბა გველესიანი (ძიუდო, 90 კგ). **ბრინჯაო.** დაჩი დოლიძე (ტანვარჯიში, ტაიჭი), შოთა გოჩიაშვილი (ძიუდო, +90 კგ). სულ ქართველ ძიუდოისტთა ნაკრებმა 6 მედლით (3, 2, 1) მეორე გუნდური ადგილი დაიკავა, ხოლო ვაჟთა ტურნირში საერთოდ ყველას აჯობა.

### კალათბურთი

**ტრევიზო (იტალია).** სპარინგი. საქართველო – ეგვიპტე 76:81 (არ უთამაშია ჯვაროსანთა კაპიტან **თორნიკე შენგელიას**). ჩვენი გუნდიდან ყველაზე შედეგიანები იყვნენ დუდა სანაძე (17 ქულა), სანდრო მამუკელაშვილი (12 ქულა) და გიორგი შერმადინი (8 ქულა). 1 აგვისტოს ილიას ზუროსის შეგირდები სტუმრად ლიეტუვის ნაკრებს შეხვდებიან.

### ძალოსნობა

**ბუქარესტი (რუმინეთი).** 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. **3 ოქრო** – გურამ გიორბელიძე (67 კგ, ატაცში, აკვრასა და ორჭიდში). **3 ვერცხლი** – კახი ასანიძე (73 კგ, ატაცში, აკვრასა და ორჭიდში). **3 ბრინჯაო** – არჩილ მალაყმაძე (ამავე წონაში, ატაცში, აკვრასა და ორჭიდში).




### ფეხბურთი

**წინასასეზონო მატჩი.** ნაპოლი – ჰათაისფორი (თურქეთი) 4:0. **ხვიჩა კვარაცხელიამ** მე-60 წუთამდე ითამაშა და პირველ ტაიმში ვიქტორ ოსიმენი საგოლე გადაცემით მოამარაგა.

◎ სულით ძლიერნი

# ილიაობა

**წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელი, ილია მართალი (ილიაოგა), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ანგელოზის დღე**



2 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ილია თეზბიტელის ხსენების დღეს.

„...დადგა ჟამი და უფალს წმინდა ილია თეზბიტელი ცოცხლად უნდა აღეტაცებინა ზეცად. ცეცხლოვანი ეტლის გაელვებისთანავე გამოჩნდნენ რაშები და აღიტაცეს წმინდა ილია წინასწარმეტყველი ზეცად“.

უფალმა უთხრა: „შენ პატიოსნების მკაცრი მსაჯული ხარ, კაცთა მოდგმა ამოწყდება. მე შენ დაგასახელებ ზეცაში უცოდველთა, ანგელოზთა გვერდით, ხოლო ცოდვილებთან მე დავრჩები“.

ასე აიტაცა უფალმა ილია და დღესაც ხორციელად ცოცხალია. იგი იხილეს თაბორის მთაზე მოციქულებმა წმიდა მოსესთან ერთად, უფლის ფერისცვალებისას!.. და მას იხილავენ, მორწმუნენი ბოლო ჟამს, როცა ის წმინდა ენუქთან ერთად მოევლინება ცოდვილ ქვეყანას, ამხელენ გამეფებულ ანტიქრისტეს.

* * *



**დიდი ქართველი მოღვაწე, საქართველოს „უგვირგვინო მეფე“, „ერის მამა“, წმიდა ილია მართალი, ზრუნავდა ენის სიწმინდისათვის, იბრძოდა ენის უფლებების დასაცავად. ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში წმინდა ილია მართალმა განაცხადა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან მამული, ენა და სარწმუნოება“** – დიდი ილია უშიშრად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის. მან შესანიშნავ ტრადიციას – თეზბიტელობას ჩაუყარა საფუძველი.

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ვულოცავთ ანგელოზის დღეს ბატონ **რეზო ამაშუკელის** ლექსით – **„სისხლხორცო ჩემო“**



**– ო, თითქოს გუშინ წიწამურთან**
**დახვდნენ ილიას!**
**– გვყავს ჭყონდიდელი, დღესდღეობით,**
**მაგრამ დავითი?**
**დავითი არ გვყავს –**
**– და მამულიც ხელგაწვდილია!**
**...ვინ ცრემლს აგროვებს,**
**ვინ მარგალიტს**
**და ვინ ბრილიანტს!**
**გათენდება და**
**მადლი მაინც გადმოვა ციდან!**
**ვდიოთ მაცხოვარს, რუდუნებით**
**– ერთს ხატზე წერილს,**
**მეორეს კი...**
**ჩვენს ცოცხალ წმინდანს!**

# ია კაკრიაშვილი



**დედა სილვა გუდავაძე, მეუღლე ჯამბულ წულაია, შვილები დავით და გიორგი თევდორაძეები, შვილიშვილი ალექსანდრე თევდორაძე, ახლობლები, ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

# ია კაკრიაშვილი

**პანაშვიდი 1 და 2 აგვისტოს 17:00. საათზე მისამართი: შოთა ყავლაშვილის №1.**

**გამოსვენება: ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძრიდან, 3 აგვისტოს, 14:00 საათზე.**

---

**ბონდო ჯიქია, ბაკურ გულუა, გრიშა ონიანი, გივი სოსელია, გურამ გუნავა, დემურ გადელია, ლერი ჭითანავა, ავთო ბესელია, ოთარ ჭითანავა, მამუკა ადამია, ტარიელ დგებუაძე, სოსო დგებუაძე, სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი და ულამაზესი ქალბატონი, სამაგალითო მეგობარი, ქვეყნისა და ოჯახისთვის დამაშვრალი დიდებული მანდილოსანი**

# ია კაკრიაშვილი

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის მეუღლეს, ბატონ ჯამბულ წულაიას, კაკრიაშვილების დიდ ოჯახს და მთელ სანათესაოს.**

**მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა.**

**მამუკა ვაშაკიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უმცროსი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების, სანიმუშო ოჯახიშვილის, უერთგულესი მამისა და მეუღლის, სამეგობროში გამორჩეული პიროვნების**

# ზურა მითაგვარიას



**გარდაცვალებას. ვუსამძიმრებ ჩემს უფროს მეგობარსა და დიდ მეცნიერს ნოდარ მითაგვარიას შვილის, ჩემს შვილობილს, ჩემს თიკუნას მეუღლის, ნოდარიკოსა და თორნიკეს უსაყვარლესი მამის, ჩემს დაიკოს, სიყრმის მეგობარს – მანანა გორგიშელის ოჯახს უპატიოსნესი სიძის გარდაცვალების გამო. ამ მწუხარებისა და დიდი ტრაგედიის დროს თქვენ გვერდით მიგულეთ. ისეთი ბიჭები უსახელოდ არ მიდიან, მაგრამ სამწუხაროა, რომ ნაადრევად, შეხვედრამდე, ჩემო ძმაო.**

**თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის**

# მანანა ჭურაძის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და კოლეგებს.**



# გარდაიცვალა 96 წლის გერმანელი მწერალი მარტინ ვალზერი

**„დიდი ადამიანი და მსოფლიო დონის მწერალი, რომელიც გერმანიამ დაკარგა“,** – ასე გამოეხმაურა ქვეყნის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი მწერლის გარდაცვალებას.

**„მარტინ ვალზერი გერმანულ ლიტერატურას ათწლეულების განმავლობაში აყალიბებდა. მის წიგნებს თაობები კითხულობდნენ. ვუსამძიმრებ მის ოჯახს“,** – წერს გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი. მწერალი და დრამატურგი მარტინ ვალზერი 1927 წელს ვასერბურგში დაიბადა. ის ომის შემდგომი გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდეს წარმომადგენლად და „თანამედროვე კლასიკოსად“ ითვლება.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნიკოლოზ აფციაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნიკოლოზ აფციაური (პ/ნ 16001001674), ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართული 4, ბინა 47

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართული 4, ბინა 47 (საკადასტრო კოდი: 66.05.05.041.01.047 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19700.76 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 31 ივლისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 14 აგვისტო, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP91344923;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 913449

6. **მოვალე:** ნიკოლოზ აფციაური (პ/ნ 16001001674), ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართ. 4, ბინა 47.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP91344923; ლოტის ნომერი: 913449).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 14 აგვისტოს 12:00 საათამდე.




# „მუსიკალური საღამოები“ რუსთავში

**პრემიერის ინიციატივითა და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, რუსთავში, ახალგაზრდობის პარკში, „მუსიკალური საღამოს“ ფარგლებში, ღონისძიებები გაიმართა. პარკის ტერიტორიაზე მოწყობილ სივრცეებში, სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები მოეწყო, გაიმართა ადგილობრივი მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, საღამო კი ქართველი შემსრულებლების კონცერტით დასრულდა.**

ღონისძიებას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოხტურიშვილი, ქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი დოხტურიშვილის განცხადებით, „მუსიკალური საღამოები“ მხარის შვიდივე მუნიციპალიტეტში გაიმართა. ახალგაზრდობის პარკში მოწყობილ სივრცეებში ბავშვებისთვის ანიმატორების და საპნის ბუშტების შოუ, თითების თეატრი გაიმართა, ჩატარდა ყვავილების გვირგვინების დამზადების მასტერკლასი. პარკში მისულ პატარებს ბამბის ნაყინითა და ბატიბუტით გაუმასპინძლდნენ. „მუსიკალურ საღამოში“ ნუკრი კაპანაძე, მაია ჯაბუა, მანანა თოდაძე, ნეკა სებისკვერაძე, გიორგი სუხიტაშვილი, ნათია პერანიძე, დათუნა სირბილაძე, ლიკა დოლიძე, ანსამბლი „ჰერიო“, ანსამბლი „ქართული ხმები“, ჯგუფი „ლაიქ ბენდი“ და ნინო გულიაშვილი იღებდნენ მონაწილეობას. საღამოს ნანიკო ხაზარაძე უძღვებოდა. „მუსიკალური საღამოები“ მთელი ქვეყნის მასშტაბით 63 მუნიციპალიტეტში და დაბა ბაკურიანში ყოველ შაბათ-კვირას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით იმართება.

# ეროვნულმა არქივმა ევგენი მიქელაძის ღვაწლს პატივი მიაგო



**ევგენი მიქელაძის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა მულტიმედიური ონლაინგამოფენა მიუძღვნა.**

გვერდზე წარმოდგენილია 1937 წელს რეპრესირებული ხელოვანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დღემდე მოღწეული ფოტოები, კინოკადრები, პირადი ნივთები, აუდიოჩანაწერები, მოგონებები, რომელსაც საქართველოს ეროვნული არქივი ინახავს. დოკუმენტებს შორის გამორჩეულია ევგენი მიქელაძის დირიჟორობით შესრულებული ოპერა „დაისის“ შესავლისა და „ქართული სუიტის“ ფრაგმენტის აუდიოჩანაწერები.

# ახალგაზრდული სივრცე ხაშურში

**პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ჩაკვეტაძე და ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე, ხაშურის სამუსიკო სკოლის შენობაში, ახალგაზრდული სივრცის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ.**



სივრცე ხაშურის მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით გაიხსნა და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ და რეკრეაციულ აქტივობებს სთავაზობს. ღონისძიება ა(ა)იპ „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ ხელმძღვანელმა გიორგი მაჭარაშვილმა გახსნა. მან საზოგადოებას სამომავლო გეგმები და აქტივობები გააცნო, რასაც ორგანიზაცია საგანმანათლებლო და შემეცნებით ჭრილში, სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს. შეკრებილ ახალგაზრდებს, სივრცის მოწყობა ასევე მიულოცეს აღმასრულებელი ხელისუფლების, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა.

# პირველი სახელოვნებო სახელმწიფო ექსპერტიზის ლაბორატორია ამიერკავკასიაში

**კულტურის სამინისტროს ინიციატივით ამიერკავკასიაში პირველი სახელოვნებო სახელმწიფო ექსპერტიზის ლაბორატორია გაიხსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და მოწვეული სტუმრები.**

ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის სახელმწიფო ლაბორატორიის პროექტი ირაკლი ფარჯიანის ფონდთან კულტურის სამინისტროს კონსულტაციითა და უწყების უშუალო მონაწილეობით შემუშავდა. ლაბორატორიის უმთავრესი მიზანი და ფუნქციაა საქართველოსა და ამიერკავკასიის რეგიონში ხელოვნების ნიმუშთა კომპლექსური საექსპერტო კვლევების ჩატარება და ნამუშევრების ავთენტურობის დადგენა უახლესი თაობის აპარატურისა და ტექნოლოგიების მეშვეობით .



# ჩაის ფესტივალი შეკვეთილში

**შეკვეთილის მუსიკოსთა პარკში „ქართული ჩაის ფესტივალი – ჩაის გზა“ გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.**

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული ჩაის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, სამეწარმეო ბაზარი, გასართობი სივრცე ბავშვებისთვის. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მასტერკლასები და მოეწყო ფოტოგამოფენა.

# სვიფტის კონცერტებმა მიწისძვრა გამოიწვია



**ტეილორ სვიფტის კონცერტებმა აშშ-ის ქალაქ სიეტლში 2,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის ეკვივალენტი სეისმური აქტივობა გამოიწვია.**

კონცერტები 22 და 23 ივლისს გაიმართა. სეისმოლოგების განცხადებით, აქტივობა ან სვიფტის ფანების სინქრონულმა მოძრაობამ, ან ხმის სისტემამ გამოიწვია. ამგვარად, სვიფტის მსმენელებმა ქალაქის რეკორდი დაამყარეს – აქამდე, ყველაზე დიდი არაგეოლოგიური სეისმური აქტივობა სიეტლში 2011 წელს, ამერიკული ფეხბურთის გულშემატკივრებმა დააფიქსირეს, რომლებიც თავიანთი გუნდის თაჩდაუნს ზეიმობდნენ. სვიფტის ორ კონცერტს 144 ათასი მაყურებელი დაესწრო. ამასთან, ეს არ არის პირველი მუსიკალური კონცერტი, რომელმაც სეისმური აქტივობა გამოიწვია – 2011 წელს ანალოგიური რამ ახალ ზელანდიაში, ჯგუფ Foo Fighters-ის შოუზეც დადასტურდა.

# აღმოაჩინეს უძველესი რომაული გემი

**იტალიის სანაპიროსთან ძველი რომაული გემის ნარჩენები აღმოაჩინეს. ხომალდი, რომლის სიგრძეც დაახლოებით 20 მეტრია, რომისგან 80 კილომეტრის მანძილზე, 160 მეტრის სიღრმეზე იპოვეს. ის ძველი წელთაღრიცხვით პირველი ან მეორე საუკუნით თარიღდება.**



ბორტზე ასობით ამფორა აღმოაჩინეს, რომლებშიც რომაელებს სითხეები – ღვინო, ზეთი, სოუსები გადაჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ამფორების უმეტესობა ძალიან კარგად არის შენახული.

**„ეს უნიკალური აღმოჩენაა, რომელიც ძველ დროში საზღვაო სავაჭრო გზების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას“,** – აღნიშნავენ იტალიის პოლიციის სპეციალური განყოფილების თანამშრომლები, რომლებიც არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 3 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6433; ევრო - 2.9060;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3958;
100 რუბლი - 2.9091; თურქული ლირა - 0.0981;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5575;
1000 სომხური დრამი - 6.8462

**ამინდი 31 ივლისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +31 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +31 |
| თბილისი: | ღამე | +23, | დღე +33 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge